


სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 16. აპრილის 18, 1893 წ. № 16.

**შინაარსი**—ორიოდე სიტყვა ყმაწვილ-კაცებზედ, ბარბარე ჯორჯაძისა.—ობლის-მოთქმა, (ლექსი) რუს-იმერლისა.—სათავად-აზნაურო სკოლების მტერ-მოყვარენი, ი. მ—სა.—წვრილი ამბები.—წერილი რედაქტორთან, კარიჭაშვილისა.—მოქვის ტაძარი, **XX**-სა.—ლენქორანი, (ლექსი) ბარბარე ჯორჯაძისა.—ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა, ხომლელისა.—ცხელ-ცხელი ამბები, აკაკისა.—საჭირო განმარტება, კალმახელიძისა.—ჩანჩალა გიგა, (ლექსი) პეტრე პავლიძისა.—შეცდომა (მოთხრობა) ვას. ბიბილაშვილისა.—„კვალის“ ფოსტა.—განცხადებანი.

## ორიოდე სიტყვა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ

პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედა-კაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველი ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ ძ დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდენ „შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებიხარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმა-გაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშე, თვალები დახუჭე და იჯექ, ბუზმა რომ თვალები ამოგჩიჩქნოს, ხელი არ გაანძრიო; სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო“. თითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობის და ზვაობის ფრთები, დაიჭირა ვრცელი ასპარეზი და სთქვა: „მე რადგან კაცი ვარ, გავსწევ, გავქუსლავ ცის კიდემდის, ჩემი დამაბრკოლებელი არა არის-რა, ვიმჭევრმეტყველებ, ვისწავლი, ყოველ გვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა ხელთ მიპყრიაო“. გაიფართოვა გზა და დედა-კაცი ვითომ ვალდებულებაში ჩააგდო, თუ მე არა, ლუკმას ვერ შესჭამო,—რა იყო უფრო დაემონავებინა. მართალია, დედა-კაცისათვის თვით ბუნებას არ მოუცია ვრცელი ასპარეზი, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც შეიქმნება დედად და კისრად დააწვება ოჯახის მოვალეობა; მაგრამ გათხოვებამდის კი უნდა ჰქონოდა ქალსაც თანასწორი აღზრდა და მიმართულება, რომ შესძლებოდა თავის თავის ცხოვრება და ქმრის უღელის გაწევა. მამა-კაცმა ოჯახშიაც კი არად ჩააგდო დედა-კაცის შრომა, უპირატესობა თვით დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: „თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არცარა გესმით, გამოყრუებული და გამოფშუტურებული ხართ, თქვენ თვალებს თვალის ჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოღალატენი და ვინ მოსთვლის, რა არ უწოდებია კაცს ამ კაცის სათაყვანებელი არსებისათვის, რომელიც არის დედა, და, ცოლი, და ასული. თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთის ძალით და ერთის ბუნებით არ შეექმნას! ის მხოლოდ, როდესაც ქალს ეტრფიალებოდა, მაშინ ამკობდა მოსათინთლავის სიტყვებით: „მზე ხარო, მთვარე, ვარდი და ზამბახიო.“

ახლა ბრძანეთ ამ გვარ გზაზედ დაყენებული უსწავლელი და შებორკილებული არსება პირუტყულ წრეში მყოფი ცუდიც რომ გამოსულიყო, ვინ იყო პასუხის მგებელი? ამოდენი საუკუნოების განმაელობაში ამ გვარად მომდინარეობდა ქალების ვითარება და ყურადღება არავისა ჰქონდა მიქცეული, მხოლოდ კაცთა გამოხსნისათვის განხორციელებულმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ბრძანა: „არა არს გარჩევა არცა მამა-კაცთა და არცა დედა-კაცთაო.“ მაგრამ რა წრესაც კი პირველად დაადგა კაცი, იმ წრის გადაცილება სჯულის გარდამაელობად მიაჩნდა.

საბრალო ქალებს იმ დაჩაგვრით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედა-ენაზედ მაინც კარგად დ საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა და საქმიანობა, ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი დ წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არ ქალი, როდესაც კაცები მამულის დასაცველად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი? თუ აქამომდე მოაღწია მდიდარმა ქართულმა ენამ, ქალის მეოხებით მოაღწია, მაგრამ ნებროთის ციხის მზგავსად ენის არევა რომ მოხდა, ძველმა დედა-კაცებმა ვერ შეიშენიეს და ახალ თაობასაც არად გამოადგათ; დაბრასტული და ჩაკონკილი, ნაკუწ-ნაკუწსავით ერთი სიტყვა ერთი ენიდან შესწავლილი და მეორე მესამე სხვიდან, აბა რა დიდს განათლებას და სიმდიდრეს შესძენდათ? ამ წეს-წყობილებიდან გამოვიდა: მოდა, თეატრი, ბალი, ვეჩერი და ბულვარზედ სეირნობა.

დღეს კი სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი დრო განათლებისა და აყვავებისა; ახლა მაინც ჩვენმა კაცებმაც დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდეც კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედა-კაცებს სამარის მეტი ველარა გაგვასწორებს-რა და ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან თუ კი საქმეს უშველიან რასმე.

ბარბარე ჯორჯაძისა

---

## ობლის მოთქმა

სად ხარ ჩემო ტკბილო დედავ!
რად დამტოვე მარტო, ობლად?
ნუ თუ ფიქრობ, არ მიყვარხარ
და არ მწამხარ ნამდვილ მშობლად?

დედი-ნაცვლის მონებაში
რად დამაგდე უბედურად!
ტკბილი გრძნობა რად გახადე
საგმობად და საყვედურად?

გეფიცები ამასთან ლხინს
მირჩევნია შენთან ჭირი,
მაგრამ, ჩემთვის დაკარგულო,
დღეს შენ გიგლოვ, შენთვის ვსტირი.

ის მიკლავს გულს, ის მაღონებს,
ის მიკიდებს ცეცხლის ალებს,
შენს სატრფო შვილს რომ შენ ნაცვლად
ეს აშარი დამტრიალებს,

და უნდა რომ თავის რჯულზედ
მან პირჯვარი მაწერინოს,
შენს ლეჩაქს რომ ზედ ჩირქსა სცხებს,
მე გულ-გრილად მაცქერინოს?..

ნუ თუ ეს რომ კისრად ილოს
შენმა შვილმა, შვენის განა?
სხვა იწამოს თვისად მშობლად,
დედა დაჰგმოს შენისთანა?

დაივიწყოს მან ამაგი,
წამებით და ტანჯვით შობა,
ამ სასყიდლით შეიძინოს
დედი-ნაცვლის თანაგრძნობა!

არა, არა, არ მოვასწრებ
აღვიარო იგი მშობლად,
გულში შური გავიქარწყლო
იმის პირქვე დასამხობლად!

რუს-იმერელი

---

## სათავად-აზნაურო სკოლების მცველ-მოყვარენი

დიდი ხანი არ არის, რაც გაზეთს „ნოვოე ობოზრენიეში“ დრო გამოშვებით იბეჭდება ფელეტონები სათაურით „со стороны“ („განიდან“) და ქვეშ აწერია ხელი ცნობილის პუბლიცისტის ბ. ნიკოლაძისა. ბ. ნიკოლაძეს განგებ აურჩევია ეს სათაური, ვითომ, ყველა მიხვდით, რომ მე განზედ ვდგავარ, არავითარს საქმეში არ ვერევი და მხოლოდ პირუთვნელ დამკვირვებელის თვალით ვზომავ და ვწონავ ჩვენის ცხოვრების ავ-კარგიანობას და უტყუარს, საფუძვლიანს და ციფრებზედ დამყარებულს მსჯელობას ვუდგენ საზოგადოებასაო. ზოგჯერ ამ ფელეტონებში კრიტიკას გარდა დარიგებაც არის მოქცეული, თუ როგორ უნდა გავიკვალოთ გზა, როგორ უნდა მივაღწიოთ წინადვე განზრახულ წადილს და ისე როგორ მოვაწყოთ საქმე, რომ ერთი-ასად (ეს „ერთი-ასად“ ძალიან უყვარს ბ. ნიკოლაძეს) მეტი ნაყოფი ვიგემოთ, ვიდრე უწინ ვგემულობდითო.

უკანასკნელ ხანს ოთხი ამისთანა ფელეტონი უძღვნა ცნობილმა პუბლიცისტმა ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლებსაც. ამ საგანზედ თუმცა ბევრი დაიწერა ამ ცოტა ხანში, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ისე გულ მოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს ამ სკოლების ბედსა და იღბალს, რომ, ვგონებთ, არ მოგვეჭარბდეს, თუ ცოტა მეტი კიდევ დაიწერება, მით უფრო, რომ განზრახვა გვაქვს გავაცნოთ აზრი იმისთანა „პირუთვნელის“ მკვლევარისა, როგორიც არის ბ. ნიკოლაძე.

ბ. ნიკოლაძეს წერილებში ორი აზრია გატარებული: ჯერ ამტკიცებს უნაყოფობას, უმნიშვნელობას, სრულს უვარგისობას სათავად-აზნაურო სკოლებისას და მერე უნუგეშოდ არა გვტოვებს და გვასწავლის, რა გზა უნდა ავირჩიოთ, რომ იმავე ფულით ერთი ასად მეტი ნაყოფი ვიგემოთ და ერთი ასად მეტი მნიშვნელობა მოვაპოვებინოთ ჩვენგან დაარსებულს სასწავლებლებსა.

ორი მთავარი აზრი ჰქონდათო, ჰბრძანებს ბ. ნიკოლაძე, სათავად-აზნაურო სკოლების დამფუძნებელთ 1) „მოემზადებინათ ბავშვები სახელმწიფო სასწავლებლებისათვის და 2) მტკიცედ დაეცვათ ცხოველი კავშირი სამშობლო ქვეყანასთან და საზოგადოებასთან რიგიანის სწავლებით დედა-ენისა და საზოგადოდ სამშობლოს ვითარებისა. ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ განახორციელა სათავად-აზნაურო სკოლებმაო“ განაგრძობს იგი, და თავის აზრს სულ ციფირებით ამტკიცებს, დიაღ, ციფირებით. თხუთმეტის წლის წინად ამასვე ვამბობდი, მაგრამ არავინ დამიჯერა და ახლა ცხადი საბუთები ხელთა მაქვს, რომელნიც ჩემს თეორიულს მოსაზრებას თვალ-საჩინოდ ამტკიცებენო. „სათავად აზნაურო სკოლები ჭლექად არიან ჩაცვინულნი და საზოგადოებაც ჰხედავს, რომ მათზედ დახარჯული ფული წყალში გადაყრილიაო... ამაში არ არიან დამნაშავენი, განაგრძობს იგივე, არც მათნი დამფუძნებელნი, არც ხელმძღვანელნი, არც მასწავლებელნი... „მერე გზას უკვლევს ციფირებს: „რაც, მაგალითად, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა არსებობს, ე. ი. 15 წელიწადში სკოლამ, თავის დანიშნულება შეასრულა მხოლოდ 79 შეგირდის შესახებ, 79 შეგირდი მოამზადა სახელმწიფო სასწავლებლისთვის 2000 თუ 2500 შეგირდში, რომელნიც სკოლაში შესულან. ისინიც რა! მხოლოდ 10 შეგირდი მოამზადა გიმნაზიის მეოთხე და მასზედ მაღალ კლასისთვის, დანარჩენნი შევიდენ დაბალ კლასებში, მათ შორის 20 პირველ კლასში და 9 მოსამზადებელში... მთავრობის სხვა სასწავლებლებისათვისაც მხოლოდ 7 მოუმზადებია... ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლამ დახარჯა 400,000 მანათამდე თავის არსებობის ხანში და თუ ამ ფულს გავყოფთ 79-ზე – მაშინ ამ ძალა-დატანებულ ანგარიშითაც გამოვა, რომ თითო მომზადებული შეგირდი დასჯდომია სკოლას 5063 მანათამდე... მაგრამ რადგან მესამე კლასს ზევით (ე. ი. მეოთხესა, მეხუთესა და სხ.) 10-ზე მეტი ვერ მოუმზადებია და მეორე კლასს ზევით 25-ზე მეტი... ამის კვალობაზედ რომ ვიანგარიშოთ, თითო მომზადებული შეგირდი დამჯდარა 16000 და თვით 40000 მანათიც! ეს შედეგი ზღაპარი ნუ გგონიათ, ამბობს იგი, აქ გარდამეტებული სრულიად არაფერია, ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა, მეტად სამწუხარო, მეტად ამაშფოთებელი, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებაა... აქ ვხედავთ ავკაცობამდე მისულს უანგარიშობას სკოლის შეგირდების უმეტესობის შესახებ, რომელთა შორის ასში 96 გარიყული რჩება; მეორე მხრივ ეს ფლანგვა საზოგადო ფულებისა უგუნურებას საზღვრავს... მერე რა მოუვიდა ამ გარიყულებს? ასწავლა იმათ სკოლამ სრულად მაინც წერა-კითხვა და ანგარიში რუსულსა და დედა-ენაზედ? სამწუხაროდ მხოლოდ რამდენიმე შეგირდმა გამოიტანა სკოლიდან ასეთი ცოდნა და ისიც მხოლოდ შემთხვევით და არა მოფიქრებული და მტკიცედ გატარებული სისტემის ძალით (?!)... დიდძალმა უმეტესობამ არაფერი არა იცის-რა დალაგებით. სამაგიეროდ ყველამ იცის ცოტა არითმეტიკა, ცოტა გეოგრაფია, ცოტა ისტორია, ცოტა გრამატიკა და არავისათვის არ გამოსადეგი ნაწყვეტები სხვა-და-სხვა მეცნიერებისა... ჩვენ თითონ გვინახავს ბავშვები, რომელთაც 3—4 წელიწადი გაუტარებიათ ერთ-ერთ ჩვენ სათავად-აზნაურო სკოლაში და უბრალო წერილის დაწერაც ვერ მოუხერხებიათ რიგიანად არამც თუ რუსულად, ქართულადაც კი(?!)...“

ამ სახით, ციფირებით, გამოცდილებაზედ დამყარებული მეცნიერებით ბ. ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ სათავად-აზნაურო სკოლებმა პირველი აზრი მათი დაარსებისა — მომზადება ყმაწვილებისა სხვა სასწავლებელში შესასვლელად ისე მცირედ შეასრულა, რომ სათქმელადაც არა ღირსო. ვერ აუხდათო მეორე აზრიც — დედა-ენის ჯეროვან ნიადაგზედ დაყენება და კავშირის დამყარება ბავშვებსა და მათ სამშობლოს შორის ამავე დედა-ენის და სამშობლოს საფუძვლიანის გაცნობის შემწეობითაო. სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფენი, არა მგონია, ბევრით სჯობდენ ამ მხრივაც თავიანთ ტოლებს, შინ, სოფელში დარჩენილებს, ან ამ სკოლების გარეითად სასახელმწიფო სასწავლებელში შესულებს.“ (?!!)

„ყოველი პატრონი, რომელსაც ცოტაოდნადაც არის ანგარიში ესმის, ასე მცირე სარგებლობის მომტან მაშინას დიდიხანია ჩასთვლიდა ყოვლად უვარგისად, მიხვდებოდა, რომ იგი იმ ქონის ფასსაც ვერ ასდის, რაც მაშინის წასასმელად არის საჭირო და ძირეულად დაშლიდა“,—დაასკვნის ბ. ნიკოლაძე.

ბარემ ბოლომდე ჩავყვეთ:

მოვისმინოთ, რა წამალს გვირჩევს ცნობილი პუბლიცისტი, როგორი მაშინის გაკეთებას, რომ „ერთი ასად“ მეტი სარგებლობა ენახოთ ამ მაშინის მოქმედებით.

„ჩვენ ეს არ უნდა დაგვავიწყდესო, რომ ჩვენი შუათანა სასწავლებლები მხოლოდ შეძლებულის ხალხისათვის არისო დაარსებული. შეძლებულნი კი უჩვენოდაც მოახერხებენ თავიანთ შვილებზე ზრუნვასო. ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლები მაშინ მოიპოვებენ ნამდვილს მნიშვნელობას ცხოვრებაში, როცა მოსამზადებელი ხასიათი აღარ ექნებათ და გადავქნით მათ პირველ-დაწყებით სკოლად რომელიც **ყველა** ღარიბ თავად-აზნაურთა ბავშვებს მისცემს იმოდენა საზოგადო განათლებას, რაც აწინდელს დროს შეუძლიან შეითვისოს შუათანა ნიჭის პატრონმა ბავშვმა.“

სიტყვები „პირველ-დაწყებითი“, და „ყველა ბავშვებს“ ჩვენგან არ არის ქვეშ ხაზ-წასმული, ამაზედ თვით ბ-ნს ნიკოლაძეს უზრუნვია. ეს იმიტომ, რომ უფიქრია, ვაი თუ თავად-აზნაურობამ იუკადრისოს სიტყვა: პირველ-დაწყებითი. მაგრამ ეს შიში სრულიად უსაფუძვლოა: ან ვინ იქნება იმისთანა, რომ მარტო სიტყვის მნიშვნელობას ჩააცივდეს და იმას კი გვერდი აუქციოს, რის სწავლებასაც გვპირდება ბ-ნი ნიკოლაძე ამ პირველ-დაწყებით სასწავლებელში? და მერე რას არა გვპირდება? აი, კარგად მოისმინეთ: ამ პირველ-დაწყებით სკოლებში უნდა იყოს ელემენტარული კლასები, სადაც ისწავლებოდეს: დედა-ენა (კითხვა, ენის კანონები, მართლ-წერა, თხზულება), არითმეტიკა, ფიზიკა, ქიმია, ბუნების-მეტყველება, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქებრივი მოვალეობა, გალობა, ხატვა. გიმნასტიკა, ხელ-საქმე“. ამ ელემენტარულ კლასებთან უნდა იყოს დამატებითი კლასები, რომელშიაც გარდა ზემოხსენებულ საგნებისა ისწავლებოდეს: ერთ-ერთი აწინდელი უცხო ენა, კანონ-მდებლობის საფუძველი, ბუღალტერია, პოლიტიკური ეკონომია. ამას გარდა ამისთანა სკოლას გვერდით უნდა დაარსდეს მდაბალი სამეურნეო სასწავლებელი და ამ სახით ჩვენი ბავშვები შეითვისებენ თუმცა ელემენტარულს, მაგრამ სრულს საზოგადო განათლებას ცხოვრებაში მოსახმარ ცოდნასთან ერთად მეურნეობიდან და სამრეწველო ტეხნიკიდან... ამისთანა სკოლებში სწავლას შეასრულებენ **ყველა** (კიდევ ბ-ნი ნიკოლაძისაგან არის ხაზ-წასმული) ბავშვები შეუძლებელ თავად-აზნაურთა... (რასაკვირველია გარდა მთლად უტვინოებისა *)... იქ ბავშვებმა უნდა ხუთი წელიწადი დაჰყონ და იქნება მეტიო. უნდა ვიფიქროთ რომ ამ სკოლებს განაგებენ შემდეგშიაც ისე, **როგორც ახლა** (აქ კი ჩვენ ვუსვამთ ხაზს) საქმიანნი, გულ-შემატკივარნი და კეთილის მსურველი პედაგოგები... ესეთი სასწავლებელი სრულიად კარგად მოწყობილი (პირველ-დაწყებითი სკოლა დამატებითი კლასებით და მდაბალ სამეურნეო სასწავლებითურთ,) არას გზით 35—40 ათას მანეთზედ მეტი არ დაგვიჯდება, ე. ი. თითქმის იგივე, რაც ახლა გვიჯდება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა.)

სრული არ იქნება ჩვენი ამონაწერი ბ-ნი ნიკოლაძის წერილებიდან, რომ ისიც არ დავურთოთ, თუ რა გზას გვიჩვენებს იგი დედა-ენის ჯეროვანად სწავლებისათვის სათავად-აზნაურო სკოლების გარეითად. „თავად-აზნაურობას შეეძლო გადაედოო ფული იმისთვის, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება ქართველებისათვის გაუმჯობესებულიყო.“ რომ ამ საგანს აღარ დავუბრუნდეთ მასუკან და ერთხელვე მოვჭრათ სიტყვა, მოვაგონებთ ბ-ნ ნიკოლაძეს ამ საგანზედ გადაწყვეტილებას ქუთაისის ბანკის კრებისას, რომელმაც ფულიც გადასდო, მაგრამ სურვილიდან კი არა გამოვიდა-რა...

გავჩერდეთ პატარა ხანს, სული მოვითქვათ და ისე შევუდგეთ გასინჯვას ბ-ნ ნიკოლაძის განიდან მოძახილ საბუთებისას და სწავლა მოძღვრებისას. მერე განა არა ღირს ამ საგანზედ წერა და ლაპარაკი? აბა, რა პასუხია?! კაცი გვპირდება შეუძლებელ თავად-აზნაურთა ყველა ბავშვების გამოზრდას, გაწვრთნას, განსწავლას, და გვარწმუნებს, არას გზით ამისთანა ყოვლად მხსნელ სასწავლებელზედ 35—40 ათას მანეთზედ მეტი არ დაიხარჯებაო. მერე რას ასწავლის ასე მცირე ფულით? თქვენა გგონიათ მა-

*) ჩვენ არ გვესმის, რას ნიშნავს ეს სიტყვები: „ყველა ბავშვები ღარიბ თავად-აზნაურთა.„ თუ ყველა შეუძლებელ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელთა რიცხვი თითქმის ლეგიონია, ჰპირდება გამოზდას—მაშინ ერთი ათად მეტი ხარჯი მოუნდება, ვიდრე თითონ ანგარიშობს და თუ სახეში სხვა რამა აქვს, უნდა რიგიანად გამოერკვია და თავისი აზრი მკაფიოდ ეთქვა, თორემ იმის წერლების წამკითხველს ბევრს ეგონება, ბ-ნს ნიკოლაძეს ისეთი წამალი უპოვნია, რომ ხუთი პურით ათასი კაცის გაძღომას გვპირებს, რაღაც სამი ათასი თუმნით მთელი თავად-აზნაურობის შვილების გამოზრდასაო.

რტო წერა-კითხვასა და ანგარიშს, როგორც ჩვეულებრივად ასწავლიან პირველ-დაწყებით სასწავლებელში? აბა რა სათქმელია! ხომ გახსოვთ, ერთ პატარძალსა ჰკითხეს, ქათმისა რომელი ნაჭერი უფრო გიყვარსო და იმანაც ლექსად თითქმის ყველა ნაჭრები ჩამოთვალა, თუმცა ჯერ არც ერთი არ მოსწონდა:

ქათმისა მიყვარს ენაო,
მაღლიდან გადმოფრენაო,
მხარ-ბარკალ-მკერდი-კისერი,
პატარა საწიწკნელაო და სხვ.

ისეა, ბ-ნ ნიკოლაძის წერილების საქმეც: ჯერ ძალიან უწყრებოდა სათავად-აზნაურო სკოლებს თქვენს ბავშვებს არაფერი ცხოვრებაში გამოსადეგი არა უსწავლიათ-რაო. „უსწავლიათ ერთი კიკნა არითმეტიკა, ერთი კიკნა გეოგრაფია, ერთი კიკნა გრამატიკა და სხვ. სულ ასეთი კიკნები, რომლებიც არც თვით ყმაწვილისათვის და არც არავისათვის არ გამოდგება.“ *)

მაშ ასე: სათავად-აზნაურო სკოლა კიკნაობით ასწავლის და ბ-ნი ნიკოლაძის სკოლამ კი უნდა ასწავლოს სრულიად და სავსებით ყველა ღარიბ თავად-აზნაურების შვილებს დედა-ენა, არითმეტიკა, ფიზიკა, ქიმია, ბუნების-მეტყველება, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქებრივი მოვალეობა, ერთ-ერთი უცხო ენა, კანონმდებლობის საფუძველი, ბუღალტერია, პოლიტიკური ეკონომია, სამეურნეო საგნები, გალობა... მხარ-ბარკალ-მკერდი-კისერი და პატარა საწიწკნელაც, ე. ი. ხატვა, გიმნასტიკაც კიდევ ზედ!..

ეს ყველა კარგი, მაგრამ რა საბუთს გვაძლევს ბ-ნი ნიკოლაძე, რომ შეუძლებელ თავად-აზნაურობას ყველას ერთად ის ცრემლს მოსწმენდს, გზას გაუხსნის და შვილებს ისე დაუბინავებს, როგორცა გვპირდება: ოთხი ათასი თუმანი კი არა, რომელიც, იმის სიტყვებით თავსა სდის მთელი ღარიბი თავად-აზნაურობის შვილების პატრონობას, მთელი თავად-აზნაურობა უნდა შეკრბეს, გაიჭიროს, გაიყიდოს, ერთიორად, ერთი-სამად ამაზედ მეტი მიართვას ბ-ნ ნიკოლაძეს, ოღონდ დაპირებული შეგვისრულოს და განსწავლული, განვითარებული ბავშვები ჩაგვაბაროს თუნდა იმისავე პირველ-დაწყებით სკოლებში. მაგრამ ბ-ნ ნიკოლაძისაგან ქვეშ ხაზ-წასმული სიტყვები: **„ღარიბ თავად-აზნაურობის ყველა ბავშვები“ „არას გზით მეტი არ დაჯდება 30—40 ათას მანათზედ“** და სხვანი იმის ციფირებივით ფუყე რომ გამოდგეს, მაშინ რაღა ვქნათ? ერთი რომ დავშალოთ ბ-ნი ნიკოლაძის დარიგებისამებრ და მეორე ვერ გავაკეთოთ, ვინ გასცემს პასუხს, ვინ უზღავს ზარალს ჩვენს საზოგადოებას—ზარალს კიდევ უფრო მეტად უკან ჩამორჩენისას, კიდევ უფრო მეტად დაქვეითებისას?! რომ მართლაც ყოველი ციფირი ბ-ნი ნიკოლაძისა „ივერიისაგან“ განგებ არ გადაბეჭდილი, ციფირი, რომელზედაც მისი დასკვნა და მსჯელობაა დამყარებული, მართლაც ჭეშმარიტებასთან დიდ მანძილზედ არის დაშორებული, ამტკიცებს წერილი ბ-ნი ა. ჭიჭინაძისა დასტამბული იმავე „ნოვოე ობოზრენიეში“ სკოლის გამგე კომიტეტის მინდობილობით *).

ბ-ნი ჭიჭინაძე სწერს, ა) ნიკოლაძეს სიტყვით ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაზედ 400,000 მანათამდე დაიხარჯაო, ნამდვილად კი 1892 წ. მაისამდე დაიხარჯაო 319,521 მანათი ბ) ბ-ნი ნიკოლაძე სწერს სახელმწიფო სასწავლებლებში სულ 79 ყმაწვილი შესულა სათავად-აზნაურო სკოლიდან, ნამდვილად კი სხვა-და-სხვა სასწავლებლებში გადასულა 162 მოწაფე, მათ შორის სახელმწიფო სასწავლებლებში 145-იო. გ) ბ-ნი ნიკოლაძე სწერს 79 გამორჩეულა 2000 თუ 2500 ბავშვში, რომელნიც სკოლაში მიულიათ და დანარჩენი კი რიყეზედ დარჩენილაო; ნამდვილად კი სკოლის დაფუძნებიდან მიღებულია სკოლაში არა 2000 თუ 2500 (როგორ მოგწონთ ეს „თუ“ ფაქტებზედ დამყარებულ წერილში—500 ბავშვის „სათუოდ“ გაზდომა გაგონილა?), არამედ 730, რომელთა შორის 210 ახლაც სკოლაში არიან და პროცენტების გამოანგარიშების დროს სათვალავში არ მიიღებიანო.

მერე როგორ გგონიათ, ამ წერილის ციფირებს გაუჩუმდა ბ-ნი ნიკოლაძე, ან გაამტყუნა? არც ერთი

*) ჩვენ ეს უკანასკნელი ხანა ბ-ნი ნიკოლაძის წერილისა მოგვაქვს აქ „ივერიიდან“, რომელიც ამ უკანასკნელ დროს რაღაცა მიზეზით ისე მოწიწებით ადევნებს თვალ-ყურს ბ-ნი ნიკოლაძის მოქმედებას და მის ნაწერებს, რომ არც ერთს კრებაში, არც ერთ კომისიაში ბ-ნ. ნიკოლაძეს გარდა სხვას აღარავის ამჩნევს, არც ერთი იმისი ნაწერი არ გამოვა, რომ მართლა სარწმუნოებრივი სიმტკიცით არ გადაბეჭდოს და არ ასწავოს თავის მკითხველებს. ამ შემთხვევაშიაც სათუთად გადაუბეჭდია კილვა სათავად-აზნაურო სკოლებისა და „კიკნაობით“ და „კიკნებაობათ“ დაუსურათებია ყოვლად მხსნელი აზრი მისთვის ოთხთავად გარდაქმნილის ბ. ნიკოლაძის ოთხის წერილისა. მაგრამ უცნაური ის არის, რომ დასკვნა მტკიცედ აღუბეჭდავს „ივერიის“ გულის-ფიცარზედ და ციფირებს კი. რომლებზედაც ეს დასკვნაა დამყარებული, რაღაცა მიზეზით არიდებია. იქნება ამ მიზეზს რამდენსამე სტრიქონს შემდეგ მივხვდეთ, როცა თვით ციფირებს ჩავათვალიერებთ.

*) თუ ბ-ნ ნიკოლაძის წერილების აზრი ისე გულ-მოდგინედ გადიღო „ივერიამ“, ნეტავი ბ-ნ ჭიჭინაძის წერილს რაღად აუქცია გვერდი?

და არც მეორე, არც გაუჩუმდა, არც გაამტყუნა და მეორე დღესვე იმავე გაზეთში დაბეჭდა პასუხი თითო მუხლობით:

ა) თუ 319,521 მანათს, ამ ათისა თუ თერთმეტი გაცლილი თვის ხარჯიც მიუმატეთ, მაშინ ახლო იქნებით ჩემს ციფირთან, 400,000 მანათთანაო. მაგრამ ერთი ვკითხოთ ბ-ნ ნიკოლაძეს ამ ფულს მომატება უნდა თუ უფრო მოკლება? ჯერ არამც თუ ამ წლისა, წინა ორი წლის ნაყოფიც არ გამორკვეულა, რადგან კლასი კლასზედ ემატებოდა ჩვენს სკოლას და გიმნაზიაში თითქმის არავინ გადადიოდა და ამ წლების ხარჯს კი ანგარიშობს და წინად გადასულთა რიცხვებზედ ჰყოფს. ვისაც მართლა ჭეშმარიტების გამორკვევა უნდა, რაკი ხარჯს ანგარიშობს, მარტო გიმნაზიაში გადასულები კი არ უნდა იანგარიშოს, იმათი სწავლაც უნდა მიიღოს მხედველობაში, რომელნიც ამ ჟამად სასწავლებელში არიან და მერმის ან იქითა მერმის მზად იქნებიან გიმნაზიაში გადასასვლელად; თორემ ბ-ნ ნიკოლაძის ლოგიკით ის წელიწადები, რომლებშიაც ბავშვები მხოლოდ ემზადებოდენ სხვა სასწავლებლისათვის და არ კი გადადიოდენ ჯერედ, უქმად უნდა ჩაითვალოს და მაშინ დახარჯული ფული წყალში გადაყრილად.

ბ) მე ვთქვიო, განაგრძობს ბ-ნი ნიკოლაძე, 79 ბავშვი გადასულა სხვა სახელმწიფო სასწავლებლებში და თქვენ კი ამბობთ 162-იო, მაგრამ თქვენ სახეში გაქვთ სხვა დაბალი სასწავლებლები, რომლებშიაც ზოგან ისე მოუმზადებლადაც მიიღებდენო. ეს სასწავლებლები ანგარიშში მოსატანი არ არისო. რატომ ვითომ? განა ფელდშერების სკოლა, სკოლა სარკინისგზო ან მიწათ მზომელთა სკოლა ურიგოა ჩვენი ღარიბი თავად-აზნაურობისათვის? ან რომელ ამ სკოლაში იღებენ მოუმზადებლად?

მაგრამ ყველაზედ უცნაურს პასუხს მესამე მუხლზედ იძლევა ბ. ნიკოლაძე: მე თუ 520 მაგივრად 2500 შეგირდი ვთქვი ეგ იმიტომ რომ სკოლის მაქებართა ლაპარაკს რომელსაც კრებაში ყური მოვკარ ჲ იმათ დავუჯერე, 3000 ბავშვამდე გამოგვიზრდიაო. თუ ისინი სცდებოდენ, მეც მათთანა ვარ შემცდარიო. ვინ ისინი? ვის ლაპარაკს მოჰკრა ყური ბ-ნმა ნიკოლაძემ; ვის უმღერის ამ „შენც წახდი – მეც წამახდინე“-ს ხმაზედ „შენც შეცდი—მეც შემაცდინე“-ს საგალობელს,— ჩვენ არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ მკითხველი საზოგადოების ასე აბუჩად აგდება, ასეთის საბუთებით შეჭურვა და ასეთის რიხით ქადაგება იმისი, რაც კაცს კარგად ვერ შეუგნია, ვერ შეუთვისებია არ შეეფერება ბ-ნ ნიკოლაძისთანა ცნობილ პუბლიცისტს.

ნება აქვს მართლა ვისმე ასე საქმის არევ-დარევისა და საზოგადოებისადმი თვალში ნაცრის მიყრისა? ვინც პროცენტებით ანგარიშობს, ციფირებს მარტო ყური არ უნდა მოჰკრას ხოლმე და იკისროს ჯაფა მათის დალაგებით შემოწმებისა. ან რა გაუჭირდა რედაქციდან სკოლამდე ასვლა თუნდა სეირნობის დროს და ნამდვილი ამბის შეტყობა? თორემ ბ ნ ნიკოლაძეს 300,000 მანათის მაგივრად 400,000 მანათი აულია*), 162 გადასულის და ახლა სკოლაში მყოფ შეგირდთა ნაცვლად 79-ს ანგარიშობს, 520-ს მაგიერად 2000, თუ 2500 და ციფირებს ერთი ერთმანეთზედ ჰყოფს, პროცენტებსა სთვლის და თქვენ თითონ წარმოიდგინეთ და იანგარიშეთ რა ბუქნას დაუვლიან ეს ერთი კიკნა ციფირები სურვილისამებრ ბ. ნიკოლაძისა.

ჩვენ ცოტა ეჭვი გვაქვს, რომ ბ-ნი ნიკოლაძე მართლა ისე მსუბუქად მოჰყრობოდეს საქმეს, რომ სადღაც გაკვრით გაგონილი ციფირი თავის წერილის თავშივე უმთავრეს საბუთად ჩაეწეროს და უფრო ისა გვჯერა, რომ მას სკოლაში მყოფ მოწაფეთა რიცხვი 14 წლის განმავლობაში ერთიერთმანეთზე მიუკეცია და 520-ს მაგიერად 2500 გამოსვლია; რასაკვირველია, ამ შემთხვევაში თითო ბავშვი ნაანგარიშები იქნება ზოგი ერთი ორად, ზოგი ერთიხუთად, ზოგი ერთი რვად, იმის კვალობაზედ, თუ თითო შეგირდმა რამდენი ხანი დაჰყო სკოლაში. სწორედ ისე, როგორც თეატრში ოც-და-ოთხ სალდათს აპროწიალებენ ხოლმე და ვიდრე უკანა გადის, წინა ხელმეორედ შემოდის, რომ ხალხს მართლა ჯარად მოეჩვენოს და მაყურებელთა თვალი მოატყუოს.

დასასრულ გვაკვირვებს ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლების მტერ-მოყვრის გულ-კეთილობა: არა ერთხელ და ორჯერ თავის გრძელ წერილებში ის ქება-დიდებას უძღვნის ახლანდელ მმართველთა და მასწავლებელთა საქმიანობას, გულ-შემატკივრობას, კეთილ-მოსურნეობას და ასე გასინჯეთ აპირებს თავისი მომავალი სკოლაც იმათვე ჩააბაროს. ეს როგორღა მოხდა? თუ ბ-ნი ნიკოლაძის მოსაზრება და ციფირები ნამდვილია; თუ მართლა ამ სკოლებზე დახარჯული ფული წყალში იყრება იმ მმართველების წყალობით, რომელთ „უანგარიშობა ავკაცობამდეა მისული“, რომელნიც „საზოგადო ფულებს უგუნურად და უნაყოფოდა ჰფლანგვენ“ და რომელნიც ჩასციებიან რაღაცა „უვარგისს მაშინას, რომელიც

*) ამ 400,000 მანათს სადღა ჲ ვილასგან მოჰკრა ყური? ვგონებთ, აქ მაინც სკოლის „მაქებართ“ ვერაფერს დააბრალებს.

მასზე წასასმელ ქონის ფასადაც არა ღირს“ —ეს რომ სულ მართალი იყოს, მაშინ ამისთანა მმართველებს და მასწავლებლებს არამც თუ სასწავლებელს, ორს ღორსაც არ მიავაბარებდი. ამისთანა მმართველებისათვის უნდა ცოცხი ამოგვესვა და ისე გაგვეწყო მათი სახსენებელი, რომ ვერა საზოგადო საქმეში ველარ გაებედნათ გარევა.

გვაშოროს ღმერთმა ის აზრი, ვითომ ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლებს გაუმჯობესობა არ ეჭირვებოდეს: გაუმჯობესობა დიდად ეჭირვება და მათ მმართველთ უუწმიდეს მოვალეობად უნდა ჩაეთვალოს საქმის ჯეროვანად დაყენება შეძლების კვალობაზედ, მაგრამ ისიც ღრმადა გვწამს რომ ბ-ნ ნიკოლაძის წერილები და მისნი ახლად მორჯულებულნი მიმბაძავნი და თაყვანისმცემელნი „ივერია'ში“ დაბუდებულნი სათეატრო თვალის მოტყუების წყალობით საქმეს ვერ გაასწორებენ, ვაჭირვებულ საზოგადოებას მალამოს ვერ მოსცხებენ. ი. მ.

---

## წვრილი ამბები

**პატარა პანამა.** ტფილისი პატარა ქალაქია, დიდ ევროპის ქალაქებთან ვერ მოვა და საქმეებიც აქ შესაფერადვე პატარაა. პარიჟში რამდენიმე მილიონი გაჰფლანგეს იმ პირთ, რომელთათვისაც საზოგადოებას თავის საქმეები მიენდო, ტფილის'შიაც მოხდა მზგავსი ამბავი მხოლოდ მილიონების მაგივრად ათასი თუმნები თამაშობენ. ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში, რომელ'შიაც თავმჯდომარედ თ. ნაპ. ამატუნია, ეს ხუთი წელიწადია თურმე ერთი დირექტორთაგანი გარსოევი კუპონებს ითვისებდა და, როგორც ამბობენ, ორი ათას თუმანზედ მეტი „გადააყოლაო“. შესანიშნავი ის არის, რომ ბოროტმოქმედება გამოაშკარავა ამ ბანკში მოსამსახურე ტიგრანოვმა, რომელიც კვირას, აპრილის 11 კრებაზედ, მადლობის მაგივრად, სამსახურიდან დაითხოვეს და თ. ამატუნი კი, რომელიც ამდენი ხანი ხელს აფარებდა თურმე გარსოევის მოქმედებას დიდი ხმის უმეტესობით (45 თეთრი და 4 შავი) ამოარჩიეს. საკვირველია, ვისაც კი პატარა გონება უჭრიდა და საზოგადო მოღვაწედ ცნობილია თ. ამატუნის წინაამდეგ ლაპარაკობდა და ტიგრანოვს ესარჩლებოდა და კენჭის ყრას კი ამისთანა უცნაური შედეგი მოჰყვა. მაგრამ ამ დროებითს გამარჯვებას თ. ამატუნისას მალე შეეკვეცა ფრთები.

მესამე დღესვე პროკურორი გამოცხადდა ბანკში გამომძიებლითურთ, კასსა დაბეჭდა და შეუდგა საქმეს ბოროტ-მოქმედების გამოაშკარავებისას.

მთელი ტფილისია და ამაზედ ლაპარაკი.

* * *

იანვრის 6-ს, 1893 წ. გამართულ ბალიდან ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ შემოსულა სულ 2157 მ. 80 კ. დახარჯულია 400 მან. 75 კ. ასე რომ წმინდა შემოსავალი დარჩენილა 1757 მან. 5 კ.

* * *

თ. ზაქარია გიორგის ძეს ერისთავს ოფიციალური წერილი მიუწერია გუბერნიის წინამძღოლის ლუარსაბ მაღალაშვილისათვის, რომლითაც აცნობებს, რომ ის სწირავს ს. ოძისში დუშეთის მაზრაში მდებარე თავის მამულს თავად-აზნაურობას სამეურნეო სასწავლებლისათვის. შემწირველის აზრით მომავალი სასწავლებელი უნდა იყოს დამატება ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლისა.

ამ მამულში 1000 დესეტინამდეა, მშვენიერი ქვითკირის ორ სართულიანი სახლები თავის მოწყობილობით, ვენახი 30 დღისა, ხილის ბაღი 10 დღისა, 100 დღისა მეტისა სარწყავი მინდორი, სხვა ტყე და საძოვარი. ამ მამულიდან შემოსავალი სამას თუმნამდეა თურმე. ს. ოძისი კასპის სტანციიდან 15—16 ვერსზეა.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ კვირას, 25 აპრილს მოასვენებენ განჯიდან ნეშტს ჩვენი ნიჭიერი და უდროვოდ გარდაცვალებული პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისას, რომელიც ოცდა-ცხრა წელიწადში იდგა როდესაც გარდაიცვალა 1845 წელს 9 ოქტომბერს. სამუდამოდ ყველასათვის დაუვიწყარ პოეტის ნეშტს მოასვენებენ დილის 8 საათზე ტფილისის რკინის გზის სტანციაზედ და დიდუბის ეკლესიის გალავან'ში დაასაფლავებენ.

---

## მოწყალეო ხელმწიფევ

ბ-ნო რედაქტორო!

პასუხად სვიმონ ნიკოლოზის-ძის წერეთლისა, რომელიც დაბეჭდილია თქვენის პატივცემულის გაზეთის „კვალის“ № 13-ში, „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ ბ-ნის ჟორდანიასაგან არც თავის საკუთრით ხელით, არც სხვისით არავითარი წიგნები არ არის შემოწირული, როგორც სჩანს იმ წიგნის ნუსხიდან, სადაც ყოველი შემოწირულობა ჩაწერილ არის ხოლმე.

გამგეობის მდივანი დ. კარიჭაშვილი.

---



აღმოსავლეთი კერძო მოქვის ტაძრისა.



მოქვის ტაძარი.

## მოქვის ტაძარი

მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოება შესანიშნავი სამეცნიერო დაწესებულებაა რუსეთის საისტორიო კვლევისათვის. ამ დაწესებულებას მკვიდრი საფუძველი დაუდვა თავის მეცნიერული ძიებითა ა. ს. უვაროვმა. პირველად მან მიაქცია დიდი ყურადღება კავკასიის არხეოლოგიას და იმის თაოსნობითვე იყო დანიშნული 1881 წელს ტფილისში მეხუთე არხეოლოგიური სამეცნიერო კრება. იმ დროინდელმა მისმა გამოძიებამ დაარწმუნა რუსეთი და ევროპა, რომ კავკასიაში ყოფილა კვალი ძველის მსოფლიო განათლებისა და ამ მხრით რუსეთის იმპერიაში საქართველო-სომხეთს ვერც ერთი კუთხე ვერ შეედრება. ძველი საქართველო-სომხეთის ისტორიული ნაშთები ჯერ ხომ ძალიან ცოტაა გამოკვლეული, მაგრამ რაც გამოკვლეულია, ისიც თვალსაჩინო ნათელს ჰფენს ბევრს აქამომდე აუხსნელს შემთხვევებს მსოფლიო ისტორიაში. ესვე აზრია გამოთქმული მესამე წიგნში, რომელიც ამ წელს გამოიცა შემდეგი სათაურით **„კავკასიის არხეოლოგიური მასალა“**. ეს წიგნი არის სხვათა შორის დამყარებული გრაფინა უვაროვის მიერ შეკრებილს მასალებზე მის კავკასიაში მოგზაურობის დროს. თვითონ ეს სახელოვანი დედაკაცი, პ. ა. გრაფინა უვაროვისა, აწინდელი თავს-მჯდომარე მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოებისა, ფრიად ძვირფასი პირია კავკასიისათვის. იგი მისდევს თავის სახელოვანის ქმრის კვალს და განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს კავკასიის ისტორიულს ნაშთებს. იმის მეოხებით მისმა დიდებულებამ ხელმწიფე იმპერატორმა შეიყვარა კავკასიის არხეოლოგიური მეცნიერება, შესწირა ნივთიერი საშუალება და „ინება, რათა მოსკოვის საზოგადოებამ განაგრძოს არხეოლოგიური გამოკვლევა კავკასიისა და მიჰყვეს განსვენებულის გრ. ა. ს. უვაროვის კვალს.“

ჩვენ ახალი მესამე გამოცემა მოსკოვის არხეოლოგიურის საზოგადოებისა ხელთა გვაქვს და ამ წიგნიდან არა ერთხელ მოგვიხდება გადმოღება სხვადასხვა საქართველო-სომხეთის ისტორიულის ნაშ-

თებისა შესაფერი შემეცნებით და საკუთარი ჩვენი მოსაზრების ზედ-დამატებით. ამ ჟამად ჩვენ დაიწ-წყებთ მოქვის ტაძარზედ საუბარს.

მოქვის დიდებული ტაძარი ძევს მთაში, მოქვის მდინარეზედ, აფხაზეთს, შავი ზღვის მახლობლად. ვახუშტის სიტყვით: „ეკლესია არის გუმბათიანი, დიდ ნაგები, აღაშენა მეცხრე მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოსი მწყემსი კოდორის მდინარესა და მოქვის მდინარეს შორის ადგილისა...“

მეფე გიორგი პირველი და ძე მისი ლეონ მესამე აფხაზთა მეფენი მეფობდენ ოცდა ცხრამეტი წელი. საკუთრად ლეონ მესამეს ჰხვდა თვით-მპყრობელობა მხოლოდ ორის წლის განმავლობაში. ცხადია, რომ ორს წელს იგი ვერ აღაშენებდა ასეთს დიდებულს ტაძარს, რადგან მას შეემთხვა ბრძოლა კახეთის მთავართან კვირიკე ქორიკოზთან და იყო მოუცლელი. შესაძლებელია, რომ მან მხოლოდ დაასრულა მოქვის ეკლესის აშენება დაწყებული გიორგი პირველის აფხაზთა მეფის მიერ. თვით „ქართლის ცხოვრება“ უწოდებს გიორგი პირველს ეკლესიათა მაშენებლად. ყოველ შემთხვევაში მოქვის ეკლესია უნდა იყოს აშენებული მეათე საუკუნეში (921 წ.— 951 წლამდე).

მართლაც მეცნიერმა ხუროთ-მოძღვარმა, აკადემიკოსმა პავლინოვმა, როდესაც ნახა და დაწვრილებით გამოიკვლია მოქვის ეკლესიის გეგმა, მეცნიერული დასაბუთებით დაამტკიცა, რომ იგი მეათე საუკუნეშია აშენებული ქართულ ხუროთ-მოძღვრების ნიმუშზედაო და ამით უარ-ჰყო დუბუას აზრი, რომელიც ფიქრობდა, ვითომც აფხაზეთის ეკლესიები: **ბიჭვინტისა, ბედიისა** და **მოქვისა** ბიზანტიის იმპერატორს იუსტინიანეს აღუშენებიაო მეექვსე საუკუნეში.

აი, რასა სწერენ ბროსე და ბაქრაძე ამ დიდებულს ეკლესიებზედ: „დიდშენი ეკლესია მოქვისა შეფოთლილია სუროთი, თვით გუმბათი ტაძრისა მწვანილოვან ბაღად არის გადაქცეული, რომელზედაც უზარმაზარი ხეები ამოსულან და წარმოადგენს განსაცვიფრებელს სურათს. შიგნით მაღალი თეთრი ქვის ნათალი სვეტები ისრებსავით ამართულან ზეცისკენ და ჰყოფენ ეკლესიას ხუთ კიდობნად (nex). იატაკი ტაძრისა მარმარილოს ქვით არის მოგებული; ფერად-ფერადი შუშის ნატეხები აქა-იქ დაყრილი, საკვირველი ჩუქურთმის წმინდა ხელობა ეკლესიის არშიებზე ამტკიცებენ უმაღლეს ხარისხამდის მიწევნილს ძველს ქართულს ხელოვნებას. შვენიერი დერეფანი ქვის სვეტებზე დამყარებული გარშემორტყმული აქვს ტაძრის შიგნით თითქმის გუმბათამდის. აგურია ნახმარი გუმბათებში და სვეტების თავების ერთმანეთზედ გადასაბმელად. კარის ბჭეები (სტოვანი) ჩამონგრეულა, სანათურებში შუშები დამსხვრეულა, ნახევარ არშინი სისქე ნაგავი დაყრილია იატაკზედ; სამწუხაროდ ზედ-წარწერა აღარსად ეტყობა.“

მეჩვიდმეტე საუკუნეში იერუსალიმის პატრიარხი დოროთეოზი ყოფილა საქართველოში და მიმოუხილავს აფხაზეთის ნაშთები. იმის აზრით მოქვის ტაძრის შიგნითი კედლები ყოფილა დახატული დავით აღმაშენებლის დროსა.

დღეს მოქვის ტაძარი განუახლებიათ და სამწუხაროდ მისი ძველებური გეგმა შეუბღალავთ, რამდენადმე შეუცვლიათ; მაგალითად გუმბათის თავზედ დაუდგამთ ზემოთ კიდევ რვა-კუთხიანი პაწია გუმბათი; დასავლეთის ბჭეებთან მიუშენებით დიდი სამრეკლო. შიგნით კედლები და სვეტები კირით შეულესიათ; ამისგამო აღარც ძველი მხატვრობა სჩანს და აღარც ჩუქურთმა.

XX

## ლენქორანი

ქვეყნები ესე სხვა-და-სხვა
სევდას სევდაზედ მიმატებს,
სპარსთაგან წინა-პართ ტანჯვას
თვალწინ მიხატავს, მაგონებს,—

მუსრს რომ ავლებდენ ჩვენ მხარეს,
ჩჩვილ ყრმათა კალო მოლეწეს,
მით ვერ აძღობდენ მძვინვარეს,
ქვა ქვაზედ აღარ გაუშვეს.

აქ მოასხავდენ ტყვედ ქართველთ;
ზოგსა თეირანს ჰგზავნიდენ,
და ზოგსა მტარვალთ ბრძანებით
აქვე უწყალოდ სტანჯვიდენ.

სად იყო მათი სამშობლო,
განხრწნილი ძლების მფარავი!
ჰსჯიჯგნიდა ყვავი, ყორანი,
ეს იყო შესაზარავი.

სად ჰყვანდათ სატრფო გულისა,
ზედ ცრემლის დამაფრქვეველი,
მოთქმა გოდება მშობლისა,
მწარე და შემარყეველი.

შემთხვევით გადმოვიკარგე,
მოვშორდი ტკბილსა სამშობლოს,
და ვაჰ თუ შავი სამარე
აქ გამითხარონ მეც ბოლოს.

ბარბარე ჯორჯაძისა.

## ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა

წერილი პირველი

კაცის გონება ვერ წარმოიდგენს იმაზედ საშინელს, უარესს ყოფას, რომელშიაც ჩავარდნილია დღეს ქართული ლიტერატურის საქმე. ქართველთ ჭკუა-გონებას ღრმად სძინავს, მოწყვეტილსა და მოქანცულს ადამიანსავით და აღარ ძალ-უძს თვალი გაახილოს, გარეშემო მიიხედ-მოიხედოს და ქვეყნის ავსა და კარგს დაუფიქრდეს. არის იგი სულგანაბული, პატივ-აყრილი და ყოველ გვარ მნიშვნელობას სრულიად მოკლებული. უყურებ კაცი ამ ყოფას, ჰხედავ, რომ ამ „ქამთა სიავის“ დროს ლიტერატურას ბოლო ელება და იგი დღითი-დღე თავისთავს შავსა და ტიალს სამარეს უთხრის. წინანდელი მხნეობა, გარჯა-მოღვაწეობის ნიჭი, საიმედო და სანუგეშო ხმები ჩვენი პატივცემულ და აზრიან მწერლებისა მიმწყდარა, წარსულნი დღენი მხოლოდ მოსაგონებელ და სასიზმრო საგნად გამხდარა და აზრიან მწერლების ადგილი კი ჭია-ღუებსა და სამარცხვინო, ცოცხით მოსაგველ მჯღაბნელთა ბრბოს დაუჭერია და.... მწარე, შავი ფიქრი ტვინს გიშრობს, სულს გიკლავს, პოეტის თქმისა არ იყოს:

„გევსების გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა“....

მოუბრუნდები საგანს მეორეს მხრით და რას ჰხედავ! თითქოს საზოგადოებაც შეეჩვია იმ დამღუპველს, სიცოცხლის გამანადგურებელს აზრს, რომ ლიტერატურას საზოგადო ცხოვრების მსვლელობაში ადგილი აღარა აქვს, რომ იგი ხორც-მეტია, ტყუილად აკვიატებული ბარგია ცხოვრებისა და ეს საზოგადოება სრულიად არ იჩენს არავითარს ხალისსა და სურვილს იმის კვლავ გამოფხიზლებისა და აღორძინებისათვის... მაგრამ, შესაძლებელია, ვსცდებოდე; შესაძლებელია, ქართველს საზოგადოებას დიდს ცოდვასა და ბრალს ვახვევდე თავზედ ტყუილ უბრალოდ, საქმის ჯეროვან განუკითხავად. შესაძლებელია, საზოგადოებას სწორედ რომ **ახალ ნიადაგზედ** დამდგარი, სწორედ რომ **სხვა გვარი** აზრისა, იდეისა და გრძნობების გამოხატვით სწყუროდეს ლიტერატურის გამოფხიზლება; სხვა ფიქრთა და ზრახვათა ახსნასა და გამორკვევას ითხოვდეს ლიტერატურისაგან, მაგრამ თვით ლიტერატურა დამუნჯებულა, ცხოვრებაზედ ხელი აუღია, გაქვავებულა ერთს წერტილზედ და ლეშივით უსარგებლო გამხდარა...

ვაი, რომ ლიტერატურაც გრძნობს თავის უბედურს ყოფას, კარგად ჰხედავს თავის უშინაარსობას, არარაობას და სრულიად განადგურებას.... და რა უნდა გააწყოს ლიტერატურამაც, თუ იმის სარბიელზედ მოღვაწეს, სხვა-და-სხვა მავნე გარემოებათა წყალობით, ცხოვრებაც, ჩვენი საკუთარი ცხოვრებაც ხელ-ფეხს უბორკავს და პატიოსანს, საიმედო აზრსა და მოქმედებაზედ ხელს აღებინებს. ქართველთა ცხოვრება, თვით ჩვენი საზოგადოება, არ ეხმარება, არ შველის ლიტერატორთა აღზრდისა და განვითარების საქმეს, არ ახალისებს ჭკუა-გონებისა და ზნეობის განათლების მეძიებელთ, გულში არ უნერგავს ჭეშმარიტებისა და პატიოსნების აზრს, სიყვარულს. ეს უნდა იყოს, ჩემის აზრით, მიზეზიც იმისი, რომ ჩვენს ახალს ლიტერატურას რაიმე გარკვეული გზა მოქმედებისა ჯერ აქამდისაც ვერ გამოუნახავს, სახელმძღვანელო დედა აზრი ვერ შეუმუშავებია, რომ თვალსაჩინო კვალი დააჩინოს ქართველთა აწინდელს ყოფა-ცხოვრებას. ეს უაზრობა, ეს ქართველ „ლიტერატორთა“ სრული მოუმზადებლობა კიდევ, თავის მხრით, რასაკვირველია, ბოლოს უღებს ჟურნალ-გაზეთების საქმის წარმოებასაც. არც ერთს ქართულს ჟურნალსა და გაზეთს დიდი ხნის სიცოცხლე არა ჰქონია, რადგანაც არც ერთს ჟურნალსა და გაზეთს ერთი რაიმე გამორკვეული ხელსამძღვანელო დედააზრი, საზოგადობრივი პროგრამა არ ჰქონია წინ-წამძღვანებული. ქართულს ლიტერატურას მე-60 და მე-70 წლების დასაწყისში დაეტყო სიცოცხლე და აზრიანობა, შემდეგ კი ჟურნალსა და გაზეთს მხოლოდ დროებით, ხან-მოკლე ნიჭიერის მწერლის გავლენით თუ შეეტყობოდა სიცოცხლე, მაგრამ არ გაივლიდა საკმაო ხანი, უნიჭო და უბადრუკ მჯღაბნელთა ხრიკების წყალობით, ნიჭიერსა და პატიოსან ახალგაზდა მოღვაწეს წერაზედ ხელს აღებინებდენ და იმავ ჟურნალსა, ანუ გაზეთში ერთსა და იმავე საყურადღებო საგანზედ ორს ერთი მეორის წინააღმდეგს უაზრობას და გრძნობა-გონების გათახსირებას წააწყდებოდით.. და აი, სწორედ ჟურნალისა, ანუ გაზეთის სიკვდილის ჟამიც ამ დღიდან უნდა დაწყებულიყო. დახელოვნებულსა და დაოსტატებულს რედაქტორს შეეძლო ეხმარა სხვა-და-სხვა ღონისძიება და ხერხი გაზეთის ანუ ჟურნალის განგრძობისათვის შემდეგაც, მაგრამ ამისთანა ჟურნალი ანუ გაზეთი მაინც ნამდვილ სიკვდილის გზაზედ დამდგარს ორგანოდ უნდა ჩათვლილიყო და ასეც ითვლებოდა კიდეც ჭკუიან და დახედულ კაცთაგან....

სხვა მავნე გარემოებასთან ერთად თვით ჩვენმა საზოგადოებამ რომ კიდეც უღალატოს და ზურგი შეაქციოს ლიტერატურას, მაინც თუ არსებობს იგი და მწერლობის სახელს ატარებს, საკვებს, საზრდოს უნდა ეძებდეს მეცნიერებასა, საზოგადო ლიტერატურასა და პოლიტიკურს ცხოვრებაში, და წმინდა, სპეტაკი აღზრდის საქმეს დაადგეს და ემსახუროს. თუ არა ვსცდები, სხვა აზრი არ უნდა ჰქონდეს ლიტერატუ-

რის არსებობას ერის იმ გვარ ყოფა-ცხოვრებაში, როგორიც მე ამ წამს დაგიხატეთ. მაგრამ ავხსნათ მაინც კიდევ ჩვენი აზრი.

ჩვენა ვსთქვით, რომ ლიტერატურა, კიდეც რომ საზოგადოებამ მას ზურგი შეაქციოს, უნდა საზრდოს იღებდეს მეცნიერებისა, საზოგადო ლიტერატურისა და რეალურ ცხოვრებიდან, რომ გულ-აცრუებულ საზოგადოებას გული მოუნახოს, გული გაუხსნას, ასე ვსთქვათ, „სულში ჩაუძვრეს“ და ჭკუა-გონების მარგებელი საზრდო მიაწოდოს. გადაბირებულმა საზოგადოებამ თუ მაშინაც ზურგ შექცევით იარა, გულ გახეთქილ მოღვაწეს ნუგეშად ის ღა მაინც დარჩება, რომ ლიტერატურა თავის საგანსა და ვალდებულებას პირნათლად ემსახურებოდა... მართლაც და ჭეშმარიტს ლიტერატურას და არა ყალბს გამოცრუებულ ტაკი-მასხარაობას, ქუჩის სამარცხვინო ფურცლებს —მტკიცე დამოკიდებულება და კავშირი აქვს ზემოხსენებულ დიდ მნიშვნელოვან ხელსამძლევანელო ძალებთან. თუ ამ ძალებს ლიტერატურა ერთს წამს დასცილდა, მაშინ იგი ცხოვრებიდან წამოყენებულს სხვა-და-სხვა მოვლინებასა და საგნებს ვერ განჭვრეტს და განზომავს გონებისა და ზნეობის გამჭრიახი თვალით, უღალატებს თავის დანიშნულებას და ლიტერატურა თვითონ თავის თავად, ბუნებითად, სხვა მიზეზების გარეშეც, ჰკარგავს არსებობის აზრს და სიკვდილის გზაზედ დამდგარი სამარის კარს მიადგება. მართალი რომ ვსთქვათ, თვითოეულს ვაჟ-კაცს, მოწიფულს ადამიანს, რამდენადმე შემუშავებული უნდა ჰქონდეს სათეორიო და ცხოვრებაში გამოსაყენებელი აზრები, თუ უნდა ყოველ დღიურ ცხოვრების დუღილსა და განსაცდელს ალღო აუღოს და თავისი არსებობა დაიცვას. მით უმეტეს, ასეთი ხელსამძღვანელო დედა აზრების შეხორცება ბუნებად, არსებად უნდა ჰქონდეს გადაქცეული ლიტერატორს. რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ ამ პირობის შესრულებით შესაძლებელია ნამდვილი გულ-წრფელი სამსახური გაუწიოს მწერალმა ლიტერატურას, საზოგადოების ინტერესის დაცვას, წყვდიადით მოცულ ერის ცნობაში მოყვანას და საერთო, საკაცობრიო იდეალების წარმატებასაც. მართალია, ცხოვრების მრისხანე და საშინელს ქარიშხალს შეუძლია ერთი ადგილიდან მეორე და მესამე ადგილზედ წარამარა ატრიალოს ლიტერატურის მესვეურნი და ესენიც ცხოვრების სხვა-და-სხვაობას შეძლების გვარად გამოხატვენ, მაგრამ ამ გამოხატვას ყოველთვის ერთი შეთვისებული აზრის, შეხედულებისა და მიმართულების ბეჭედი უნდა აჯდეს. სხვაფრივ გონიერი და დახელოვნებული ლიტერატორის ცხოვრება წარმოუდგენილიც არის. მაგრამ საზოგადო ცხოვრების დუღილზედაც რომ არა ვსთქვათ რა, ეს დედა აზრი



ე.

სოფელში ჰყინავს, ქარი ჰქრის
და არყევს ხეებს ძირიან;
სცივათ და შიათ ბალღებსა
კედელთან მდუღრად სტირიან.

გ. თ.

და მიმართულება ლიტერატურის ცნობიერ მესვეურთა უნდა ეტყობოდეს მაინც და იმათს „წმიდა-წმიდათას“ უნდა წარმოადგენდეს. ამ ხელსამძღვანელო და ერთხელ ნათლად შეთვისებულის და ღრმად განცდილი შეხედულობით უნდა უკვირდებოდენ ლიტერატურის ასპარეზზედ მოღვაწენი ცხოვრების ყოველგვარ მოვლინებას და იმ აზრების დახმარებითა და ხელ-მძღვანელობით გონიერად და სინიდისიერად უნდა ეკიდებოდენ საზოგადოების ინტერესების სამართლიანად დაცვასაც...

ლიტერატურა, რომელიც მოკლებულია ამ სიცოცხლის ნიშან წყალს, ლიტერატურა, რომელსაც არა ჰყავს ამ გვარად მომზადებული მოღვაწე, უძლურია და მიმკვდარებული, გარემოებისა და შეთვისებულ პირობათა დაბრმავებული ტყვეა და, როგორც დაბრმავებულ ტყვეს, არ ძალუძს გულ წრფელად და გაბედვით იქადაგოს ადამიანის ღირსებისა და კაცთა საზოგადოების ინტერესების დაცვა. რატომ? იმიტომ, რომ ცხოვრების უბრალო, სრულიად უმნიშვნელო მოვლინებაც კი თავის ქეიფზედ დაატრიალებს ასეთს ლიტერატურას და სულ ერთიანად აუბნევს გზა-კვალს. სწორედ ისე, როგორც უგზო-უკვლოდ ზღვაზედ გატყორცილი ნავი, სუბუქი ქარის შრიალის დროსაც კი, ხან ერთს ნაპირს მიადგება, ხან მეორეს; ან წყლის ზედა-პირზედ საზარლად დაიწყებს ტოკვას, ან ზვირთთა ცემით დავაგლახებული სადმე უფსკრულში დაიკარგება. უაზრო მოქმედება, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, წარმოუდგენელიც არის; მაგრამ საქმე ცოდნასა და ხელ-სამძღვანელო დედა აზრების სიმტკიცით შეთვისებასა და დამთავრებაზედ არის დამოკიდებული. ლიტერატურასაც საფუძვლად სწორედ ეს დედა-აზრები უნდა დაედვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა რომ არა იყოს რა, კრიტიკა ხელის მოსაბღაუჭებელსაც ვერას იშოვის და მთელი ლიტერატური სარსებობაც გაქრება, ვითარცა კვამლი...

ხომლელი

## ცხელ-ცხელი ამბები

გოშია ძაღლმა იცის: გამოგიხტება მიზეზ-მიუცემლად, მოულოდნელად, ხან უკანიდან მოგეპარება, ხან წინ მოგეარდება, ასტეხს ყეფაჭაჭყანს და თუ ყურადღება არ მიაქციე, სულ ცეცხლს მოიკიდებს!... რაც მეტს გაუჩუმდები, უფრო-და-უფრო თავ-გასულად პროწიალობს!... ასე ჰგონია: ალბად ჩემი შიშებიათ, რომ ხმას არ იღებენო!... ეგება მართლა ლომთა-ლომი ვარ და ცასქვეშეთი მე მრჩებოდესო?!... ამას გაიფიქრებს თუ არა, გადაიბზეკს კუდს, აცქვეტს ყურებს, გაიბუძგება და საშველს აღარ იძლევა... მაგრამ თუ ერთი კი შეუცაცხანე და წკეპლის გადაკვრაც მოუნდომე, მაშინ, შენი მტერია, იმას საქმე მოსდის: უცბად ჩამოჰყრის ყურებს, ამოიძუებს კუდს, გარბის, თითქო ტყე და ველი თან მიაქვსო, და ისეთ ნაირადაც წკავის, რომ ხშირად გულ-ჩვილ დედაბრების თანა-გრძნობასაც მოიპოვებს ხოლმე... „რას ერჩით მაგ საცოდავს? როგორ გეკადრებათ მაგის შეშინებაო?“ აჩივლდებიან ხოლმე გოშიას ქომაგები და მათ საყვედურს ბოლო აღარა აქვს. „ღმერთი, რჯული...—ეფიცები მოტყუებულ გულ-შემატკივარს—მე მაგას არას ვერჩოდე!—მაგისთვის ვისა სცალიან? მე ყურადღებასაც არ ვაქცევ, მაგრამ რა ვქნა რომ სხვებ ველარ მოვიგერე?!...“ ეფიცები, მაგრამ დამჯერე ვინ არის?... გულ-ჩვილი დედაბრები მაინც თავისას არ იშლიან და პირ-აქეთ გამტყუნებენ... სწორედ ასეა ადამიანებშიაც: ზოგი მოუსვენარი კაცია. ატყდება უმიზეზოდ და თუ ხმა არ გაეცი—არ მოგასვენებს!... იძულებული ხარ, როგორმე მოიშორო და თუ შეუძახე, ან, ისე შესაშინებლად, მცირე წკიპარტი ჰკარ თავში და თანაც ბანი მოსცა მისმა თავმა... ერიჰა!..: ის არის და ის!.. დამფრთხალს ისე ჰგონია, ზარბაზნები მესროლესო და შეჰქნის ღრიალს: „ვაი მოგვკლეს! გვიშველეთ!.. ვინა ხართ და სადა ხართ ქრისტიანნო!“ ერთი ჰკითხოს კაცმა ამ საცოდავებს: ან თავში რად იბერებინა ინდაურებივით და გოშიასავითა ჰყეფენ? და ან ბოლოს რაღად იხეთქენ გულს და სხვებსაც აწუხებენ?... მათი ბრალი არ არის!... იმათაც წამქეზებელი სხვები ჰყავსთ: ისინი უსისინებენ, უთითებენ სხვებზე და უსტვენენ...—ტყუილი კი არ არის ამგვარ კაცებზე ნათქვამი:

კაციც ბევრია გოშია,
ცხვირის თავა, ბატის-ტვინაო:
ინდაურს დაემზგავსება,
თუ ვინმე დაუსტვინაო;

გაიბერება ტიკივით,
დაბლა დაუშვებს ცხვირსაო;
ბოლოს შლის ფარშევანგივით,
ფრთებს მიახოხებს ძირსაო!

მაღლა შეარდენს იწუნებს
და დაბლა იადონსაო!...
ვერც შეიგონებს სხვის რჩევას,
ვერც თვითონ მოდის გონსაო!...

ეჰ, ქვეყანას რა უჭირს, რომ ამისთანა გოშია კაცები არ ურევდენ გზა და კვალს? ესენი ყველგან, ყოველს წრეში აუტანელნი არიან, მაგრამ არსად

კი იმდენი ენება არ მოაქვსთ, რამდენიც მწერლობაში!... როგორ თუ მწერლობაშიო? განა მწერალიც იქნება გოშია? ეგება იკითხოს ვინმე და აი ჩვენი პასუხი:

თუ იდეალი მწერლისა
მხოლოდ პური და გროშია,
რა არის თუ არ წუპაკი,
პურისთვის მყეფი გოშია?

როს წარა-მარად მწერალი
სიტყვების წამომროშია,
რა არის თუ არ საბრალო,
გზა-დაბნეული გოშია?

როცა სხვის სიტყვებს უგულოდ
იძახის როგორც შოშია,
რა არის მაშინ მწერალი,
თუ არ წუწკუნა გოშია?

გამრავლებულან მჯღაბავნი
ყოველგან ამ ჩვენ დროშია
და ისე ჰგვანან მწერლებსა
როგორც ლომს და ვეფხს გოშია'...

ეგ კი მართალიაო, იტყვის მკითხველი, მაგრამ ვიზედა სწერთ ამას და ვინა გყავსთ სახეშიო? ღმერთი, რჯული, რომ არავინ! ჩვენ საზოგადოდა ვსწერთ, და ვინც თავის თავზე მიიწერს, დიდად შესცდება!.. შესცდება ისე, როგორც ერთხელ მთიულები შესცდენ: ჩამოვიდენ ქალაქში თურმე და მექუდესთან შევიდენ ქუდის საყიდლად. მექუდემაც ქუდები აარჩია: დიდ-თავას დიდი ქუდი დახურა, პატარა-თავას პატარა და ზომაზედ რომ მოვიდა, მყიდველებს გაუკვირდათ!... „ჰოიპე! ჰოიპეო!“ იძახოდენ—ალბად ეს მექუდე გვიცნობს და ჩვენი თავის გამოზომილი ჰქონია, რომ ჩვენთვის ეს ქუდები შეუკერავსო. ბევრი ამ მთიულების მზგავსია ჩვენში და თუ რამე სთქვი, მაშინვე თავის თავზე მიიღებს!... რადა და რისთვის? იმიტომ, რომ ბევრი კაცი თავის გონებაზე აღარ არის... ზოგს სიღარიბე უკარგავს გონებას, ზოგს სიმდიდრე, ზოგს სილამაზე, ზოგს ტრფიალება და ზოგს კიდევ რა... ეს სენი თითქოს საზოგადოა და რომ ღმერთმა გვიხსნას, ასე უნდა ვლოცულობდეთ:

### მცირე ლოცვა

როდესაც გაჭირვებული
კისრულობს სხვისა მონებას,
რომ არ დაეცეს, უფალო,
ნუ გამოულევ გონებას...

უღირსი როცა შეიძენს
შემთხვევით ყოფა-ქონებას,
რომ არ გაბრიყვდეს, უფალო,
ნუ დაუკარგავ გონებას'...

როდესაც ქალი კეკლუცი
ხელს მიჰყოფს თავ-მოწონებას,
რომ არ გაფუჭდეს პრანჭვითა,
ნუ დაუმონებ გონებას!

როდესაც ვკრეფავთ კოკობ ვარდს
და ვსცდილობთ ზედ-დაკონებას,
რომ იქ ეკალსაც ვხედავდეთ,
ნუ დაგვიბნელებ გონებას,

ყველას, ყოველთვის, ყოველგან,
ნუ გამოულევ გონებას,
რომ მხოლოდ სიბრძნე-სიმართლით
სცდილობდეს შენსა მონებას.

აკაკი

---

## საჭირო განმარტება

ბოლოს წლებში საქართველოს არა ერთს კუთხეში დაარსდა სამკითხველო და ახლაც არსდება. პატარ-პატარა გონებრივი სალაროები თან-და-თან მატულობს, მრავლდება არა მარტო ქალაქებში, არამედ დაბებსა და სოფლებშიც. ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, მეტად სასარგებლო დაწესებულებაა. კიდეც ამიტომ ეგებებიან სიხარულით ამ ნორჩს მოვლენას საზოგადოება და გაზეთები. მართლაც ეგ სამკითხველოები დიდს სარგებლობას მოიტანენ ხალხში, ძლიერ დაეხმარებიან მისს გონებრივს გამოფხიზლებას და განვითარებას, აგრეთვე გრძნობათა გაკეთილშობილებასა, მაღალ მისწრაფებათა გაძლიერებასა, თუ იგინი მიიზიდავენ მრავალს მკითხველსა.

სამკითხველო, რომელსაც ესტუმრება, ისიც ხან-და-ხან, მხოლოდ ორიოდე წიგნის მუშტარი სასიხარულოა მარტო თავვებისთვის და მოგაგონებს ეკლესიას, რომელსაც მლოცველი არ ეკარება. რა გინდ მშვენიერი იყოს ეს ეკლესია, იგი არავის არ აცხონებს, თუ მუდამ ცარიელი სდგას და მასში არ გაისმის ლოცვა და ვედრება ქრისტიანთა. სამკითხველოც მხოლოდ მაშინ არის მაცხონებელი კაცის გონებისა, როდესაც მას ისევე ეტანება მკითხველი, როგორც თაფლს ბუზი. ხოლო სიმრავლე მკითხველებისა უმთავრესად დამოკიდებულია სკოლებზედ, მათ მოწყობილებაზედ, მათ სწორე გზით მსვლელობაზედ, პედაგოგიურად მოქმედებაზედ. რაოდენიც ბევრია სკოლა და უკეთ არის მოწყობილი, იმდენად მეტი სტუმარი ჰყავს სამკითხველოებსა, იმდენად უფრო სრულად

ასრულებს თავის დანიშნულებასა, უფრო ნაყოფი მოაქვს. მაშასადამე საქმე იმაზედ არ[illegible]გარი, ჩვენი სკოლები როგორ გზაზედ არი[illegible]ენებულნი? შეუძლიანთ მათ უმზადონ საკ[illegible] მკითხველები სამკითხველოებსა, თუ არა?

საერო სკოლებზედ ბევრი თქმულა[illegible]ი და წერილა, ხოლო სამრევლო სკოლებს [illegible]თველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს, რად[illegible] ახალი დაწესებულებაა და ჯერედ არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება. თვითონ სამოსწავლო გ[illegible]ირიანად არა აქვთ გაცნობილი არამც თუ ერის[illegible], არამედ თვითონ სამღვდელო პირთა. ამის გამ[illegible]იწადინეთ მოკლედ განვმარტოთ სამოსწავლო გ[illegible] სასულიერო მთავრობისაგან დადგენილი სამრევლო სკოლებისათვის, და ვუჩვენოთ ხარისხი მის[illegible]აბამობისა, გამოსადეგობისა.

სამოსწავლო გეგმა სამრევლო [illegible]ოლებისთვის შედგენილია განსვენებულის მთავარ[illegible]კოპოზის პავლეს ექსარხოსობის დროსა. მახლობ[illegible] მონაწილეობა ამ საქმეში მიიღო აწინდელმა უნველმა სწავლა-განათლებისამ ბატონმა იანომ. გეგმა, ამ ორის პირისაგან შედგენილი დ[illegible]კიცებულ იქმნა უწმინდესის სინოდისაგან სექტემბრ[illegible]27, 1885 წელსა, № 3334, და სავალდებულოდ აღებულია საექსარხოსოში.

ამ გეგმით ერთ კლასიანი[illegible]ამრევლო სკოლებისთვის საექსარხოსოში დად[illegible]ლია სამის წლის კურსი, ერთი წლით უფრო გძ[illegible], ვიდრე რუსეთში, სადაც ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა შედგება მხოლოდ ორის წლის კურსისაგან. ეს მესამე წლის მიმატება გამოწვეულია იმ [illegible]რემოებით, რომ რუსეთში მხოლოდ დედა ენას სწავლიან, ჩვენში კი სკოლის კურსი გართულებულია და გაძნელებული რუსულის ენის სავალდებულო სწავლებითა. სავალდებულო საგნებად გეგმაში დასახელებულია: სალმრთო სჯული, ქართული წერა-კითხვა, რუსული ენა, არითმეტიკა და საეკლესიო გალობა. ყველა ამ საგნების სწავლება განწესებულია კურსის დაწყებიდან მის გათავებამდე. გაკვეთილი დღეში ხუთია დანიშნული და თვითეული გაკვეთილი თითო საათს გასტანს. სწავლის ენად გეგმა აღიარებს ქართულს ორის წლის განმავლობაში, ხოლო მესამე წელიწადს რუსულს ქართულის დახმარებით. რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს პირველის წლის იანვრიდან ზეპირ-სიტყვაობით, ესრედ წოდებული ლექსიური გაკვეთილების შუამავლობით, მეორე წლიდგან კი იწყება რუსული წერა-კითხვის შესწავლა და გრძელდება კურსის ბოლომდის.

გაკვეთილები საგნებს შორის ამ სახით არის განაწილებული: სალმრთო სჯულს აქვს დათმობილი პირველი გაკვეთილი ყოველ დღე, ქართულს წერა-კითხვას მეორე და მესამე გაკვეთილი აგრეთვე ყოველ დღე, რუსულს ენას მეოთხე გაკვეთილი, ხოლო მეხუთე გაკვეთილი ოთხ დღეს არითმეტიკას აქვს ნარგუნები და ორს გალობასა. (учеб. планъ церковно приходскихъ школъ грузинскаго экзархата, стр. 4). ეს განაწილება ყველაფერზედ უფრო საყურადღებოა. გეგმაში უარყოფილია როგორც ხუცური, ისე სლავიანური და სამართლიანადაც, რადგანაც პირველ დაწყებითს სკოლაში მათი შეტანა სწორედ ბაბილონის არევას ენებისას და ანბანებისას დაბადავდა, ყოვლად აუტანელ ტვირთად გარდაექცევდა სწავლის საქმესა და პირქვე დაამხობდა სამრევლო სკოლასა.

აქ საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ სამრევლო სკოლების გეგმა მეორე უცვლელი გამოცემით დაიბეჭდა სასულიერო მთავრობის მიერ შარშან 1892 წლის დამლევს.

თუ ამ გეგმას სამრევლო სკოლებისას შევადარებთ საერო სკოლების გეგმასა კავკასიისათვის დადგენილს მთავრობისაგან, აღმოჩნდება, რომ ორნივე ერთნი არიან, გარდა მცირეოდენის განსხვავებისა. აი ეს განსხვავება: საერო გეგმით რუსული ენა იწყება პირველის წლის იანვრიდგან, სამრევლო გეგმითაც ასე იწყობოდა, ვიდრე სამის წლის წინად ცალკე გადაწყვეტილობის ძალით, რომელიც დამტკიცებული იქმნა სინოდისაგან, ლექსიურად სწავლა რუსული ენისა არ განწესდა უფრო ადრე, სახელდობ სექტემბრიდგან. საერო გეგმაში გაკვეთილები არ არის განაწილებული საგანთა შორის, თუმცა კი აშკარად იგულისხმება დაახლოვებით იგივე განაწილება სამრევლო გეგმისა, რომელიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. სამრევლო გეგმაში რამდენჯერმე არის გამეორებული ერთი მეტად სამართლიანი და მიმზიდველი აზრი, სახელდობრ ისა, რომ სალმრთო სჯული დედა ენაზედ უნდა ისწავლებოდეს მთელის კურსის განმავლობაში პირველს, მეორეს და მესამეს წელსა. ცხადია, თუ რად მიუნიჭებიათ გეგმის შემადგენელს და უწმიდესს სინოდს სალმრთო სჯულისათვის ეს უპირატესობა. სალმრთო სჯული არითმეტიკას როდი ჰგავს, მასავით მარტივი საგანი არ არის, იგი შედგება ღრმა და რთული აზრებისაგან, რომელთა შესაბამი გამოხატვა და ჯეროვანი შეთვისება შეიძლება მხოლოდ იმ ენით, რომელიც ბავშმა უკვე კარგად იცის, და სადაც ყოვლად უძლურია ენა, რომელსაც ბავშვი ახლად სწავლობს. მხოლოდ დედა-ენას შეუძლიან ჩაუნერგოს ბავშვს გონებასა და გულში სალმრთო ისტორია და კატეხიზმო და გახადოს იგი ნამდვილი ქრისტიანი. სამწუხაროდ, ეს აზრი პირ-და-პირ არ არის გამოთქმული სამრევლო გეგმა-

ში, სადაც უფრო საჭირო იყო, თუმცა იგულისხმება კი.

ახლა ვიკითხოთ: შეიძლება ამ გეგმაზედ აშენებულმა სკოლამ ნაყოფი გამოიტანოს, ჩვენს ხალხს მოანიჭოს კარგი ქართულის წერა-კითხვის ცოდნა და წიგნების კითხვა გახადოს მისთვის ნამდვილ მოთხოვნილებად? თუმცა ჩვენებური სკოლის კურსი ერთი-ორად მოკლეა, ვიდრე ევროპაში, თუმცა აქაურს სკოლას ვალად აწევს სწავლება იმისთანა ძნელის ენისა, როგორიც არის რუსული ენა, და თუმცა სხვა-და-სხვა გარემოებანიც ხელს უცარვენ ხალხის განათლების საქმესა; მაგრამ ჩვენს სკოლას მაინც შეუძლიან თავის უმთავრეს დანიშნულებას მიაღწიოს და გვარიანი ცოდნა ქართული წერა-კითხვისა გამოატანიოს თავის მოწაფეთა. ეს იმედი დამყარებულია ორს საფუძველზედ: ჩვენი ანბანი უსრულესი და უმარტივესი ანბანია ყველა ანბანთა შორის და ხმის მეთოდი (звуковой методъ) არც ერთს სხვა ანბანზედ არ არის ისე გამოჭრილი, როგორც ქართულზედა. ამიტომ ქართულის წერა-კითხვის შესწავლა ერთი-ორად უფრო ადვილია ქართველებისათვის, ვიდრე რუსებისთვის რუსული წერა-კითხვის შეთვისება. მეორე საფუძველი ის გახლავს, რომ სამივე წლის განმავლობაში ქართულს ენას გეგმით დათმობილი აქვს ყოველ დღე ორ-ორი გაკვეთილი თვითეულს განყოფილებაში, კვირაში თორმეტი გაკვეთილი და სამივე. განყოფილებაში—ოცდა თექვსმეტი გაკვეთილი ეს საკმაო დროა ჯეროვანის შეთვისებისათვის; მაგრამ თუ ამ დროს შეამოკლებთ, შეამცირებთ ქართული ენის გაკვეთილებს, მაშინ კი უნაყოფობა სკოლისა, მისი უძლურება, გამოუსადეგრობა აუცილებელი შეიქმნება. აი რად არის ფრიად საჭირო სასტიკად დაცულ იქმნას ხსენებულის გეგმის აღნიშნული მოთხოვნილება. აქ რომ საქმეს ცოტაოდნად შეეპაროს ესრედ წოდებული უგუნური ერთგულება. (усердіе не по разуму), აქაური სკოლები ჩვენს იმედს უსათუოდ გააცრუებენ, სიკეთის მაგიერად ბოროტს შეგვძენენ, პურის ნაცვლად ღვარძლს მოგვიყვანენ მოსავლად.

სამრევლო სკოლების წაღმართად მსვლელობაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს სამრევლო სამაგალითო პირველ დაწყებით სკოლას, რომელიც დაარსებულია სასულიერო სემინარიასთანა და რომელსაც სრულიად განაგებს ამ სემინარიის მასწავლებელი ცნობილი ბ. ჟორდანია. ამ სკოლაში ვარჯიშობენ უფროსი კლასის სემინარიელები, ითვისებენ სწავლების ხელობასა და შემდეგში, მღვდელობის მიღების შემდეგ, სოფლებსა და ქალაქებში ხსნიან სამრევლო სკოლებსა იმავე კალაპოტზედ და იმავე მოწყობილობით, როგორიც არსებობს ხსენებულს სამაგალითო სკოლაში. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს დაწვრილებითი და დაბეჯითებითი ცნობანი როგორც ამ სკოლის, ისე სხვა სამრევლო სკოლების შესახებ და არ ვიცით ზედმიწევნით მიმართულება, წარმატება და ნაყოფიერება მათი...

კალმახელიძე.

# ჩანჩალა გიგა

(აზრი ხალხურიდან)

ერთი ბეჩავი გიგოლა
ძლიერსლა ათრევდა ფეხებსა
და სასაცილოდ აეგდო
ყველა მეზობელ გლეხებსა,

„ჩანჩალა გიგო, ჩანჩალა!“
ველა უძახდა იმასა;
რვის ხედავდა ის ხალხში
სთვის გულ-შემატკივარსა.

თავი მოსძულდა, დაღონდა
ად გიგოლა ჩვენია.
ამ ჩანჩალას ძახილი
რა მოსასმენია?)

იჯობს გავშორდე ამ სოფელს,
ობს გიგოლა საწყალი;
მ ამ ხალხის დაცინვას
ჩ არა აქვს საზღვარი.“

რა ფეხი და გაშორდა
ის ის სოფელს, ძველს სადგურს,
მაგ აქაც კი იმედი
არ მართლდა უბედურს:

აქ შენიშნეს საწყალსა,
რომ ძლივს ფეხებს დაათრევს
და სახლოდ აიგდეს:
აქაც „ჩალა“ დაარქვეს.

„ეგ ღვთის რისხვა მეწვია?
ფიქრობ იგოლა ბეჩავი,
ამ ბორო ხალხის ენიდან
ვერ დავიჩე მე თავი,

აქაც, ჩალას მეძახის
დიდი და ჩე ყველაო;
როგორ ილდენ ამათაც,
მათ გაუშავთ ენაო.

არა, ისევ ჯობს დავბრუნდე,
სამშობლოს ვქნა პირიო,
თქმულა, უჩვ ლხინს სჯობია
ისევ ჩვეული ირიო.“

დაჰკრა ფეხი და მიმართა
ისევ სამშობლო, ძველ სადგურს
და მეზობლების დაცინვას
აღარ უგდებდა მდეგ ყურს.

შენც გირჩევ, ჩმო ძმობილო,
ნუ ჰყვები სოფლის ზრახვებსა
და თუ პირს მური გაცხია,
ნუ ემდურები სარკეა.

შეიგნე გიგას ამბავი,
კარგად ადევნე თვალთა;
სცან, სიდუხჭირე სახია
სარკისა არა ბრალია.

პეტრე პავლიძე

# შ ე ც დ ო მ ა

(პოლშური მოთხრობა ჰანრი სენკევიჩისა)

(დასასრული *)

არ ვიცით, როგორ შეიტყეს, ჯანსსაც არავისთვის უამბნია, მაგრამ წარსული ღამის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცოდა. რედაქტორთან ჩხუბს შემდეგ ჯანსს სიბრალულის გრძნობა სრულიად დაეკარგა, შერჩა მხოლოდ წინანდელი სიმძულვარე. ჯანსი ჰფიქრობდა, რომ რაღაც მოულოდნელი უბედურება დაატყდებოდა თავსა; დიდი ხანიც არ გასულა ლოდინში. მაღაზიების პატრონები, მოგეხსენებათ, ათასნაირ განცხადებას აკრავენ თავიანთ მაღაზიის კედელზე ახალ-ახალ საქონლის მიღების დროს. ვაჭრები დუქნებში ყინულსაც ჰყიდიან უყინულოთ ამერიკელი არც არაყს დალევს, არც ლუდს.

ჯანსმა უცებ შენიშნა, რომ ყინულს მისგან აღარავინ ყიდულობს. იმოდენა, რკინის გზით მოტანილი ყინული, სარდაფში დალაგებული გადნა და დაიკარგა. ზარალი ათ დოლარზე მეტი მისცა პატრონს. რისთვის? ან როგორ? რა მიზეზი იყო? ჯანსი ხედავდა, რომ იმისი მომხრეებიც კი ნეიმანისაგან ყიდულობდენ ყინულს და მეტად უკვირდა სხვა მედუქნეების ასეთი საქციელი. მათ შორის ზოგი მეგობრადაც ჰყავდა. მოიწადინა უთუოდ საქმის გამოჩხრეკა.

რატომ ჩემგან ყინულს აღარა ყიდულობ? ჰკითხა ერთ მედუქნე პეტრესა, რომელმაც ის იყო იმის დუქნის წინ გაიარა.

— რომ აღარა ჰყიდი?

— როგორ არა ვყიდი?

— რა ვიცი, რომ ჰყიდი?

— ხომ მაქვს ყინული!..

— ეს მაშ რაღა არის, უჩვენა თითით მედუქნემ კედელზე მიკრულ განცხადებაზე.

ვიღასაც სიტყვა „ყინულის“ შემდეგ მიეწერა: „აღარა ჰყიდი“. ჯანსმა დაიყვირა და გაჭარხლებული, გაბრაზებული შევარდა ნეიმანის დუქანში.

— ეს ხომ სულის სიმდაბლეა!.. ჰყვიროდა ის გამწარებული.—ი, რა დაგიჯღაბნია, მითხარ?

— რა დამიჯღაბნია? რა და[illegible]? ჰკითხა ცბიერებით ქალმა.

— უნდა გადამიხადო ყინულის ფასი! ამბობდა ჯანსი მოთმინებიდან გამოსული და დორბლებსა ჰყრიდა; ნეიმანიც წიოდა და ჰკიოდა. ამ ყვირილზე ხალხი შეიყარა:

— მიშველეთ, მიშველეთ! იხვეწებოდა ნეიმანი. ჭკუიდან შემშლიდა! მეუბნება, ვითომ მე რაღაც დამეჯღაბნოს მაგისთვის, როცა სრულიად არა მიქნია რა. მითხარით ერთი, რას დავუჯღაბნიდი!?. ოხ, ღმერთო!.. თვალებს ამოვკაწრავდი, რომ შემეძლოს. მე საწყალ ქალს ეგ დამახრჩობს აქ!.. დაიწყო მწარედ ტირილი.

ხალხმა ვერ გაიგო, რაზედ იყო ლაპარაკი, მაგრამ რაკი აქაურები ქალების ცრემლებს ვერ მოითმენდენ, უკითხველად მოავლეს ჯანსს ხელი და ქისტი კვრით გამოაგდეს კარებიდან; უნდა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ სად შეეძლო... გამოიჭრა როგორც ტყვია და შეფორთხდა თავის დუქნის კარებში.

ერთ კვირას შემდეგ მის დუქნის კარებზედ შვენიერი აჭრელებული განცხადება ეკიდა. მაზედ დახატული იყო მაიმუნი სწორედ ნეიმანის ტანისამოსით. ძირზედ ოქროსფერი მელნით მოწერილი იყო: „მაიმუნით ვაჭრობა“.

ყველანი მიბრუნდენ საცქერად. სიცილმა და კასკასმა ნეიმანი გარეთ გამოიყვანა.

გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა, გაფითრდა და სთქვა:

— მაიმუნით ვაჭრობა?.. არაფერი საკვირველი არა არის რა. მაგ მაღაზიის ზემოთ ხომ კაგნე ცხოვრებს ხა!.. ხა!.. ხა!.. მაინც კაგნეს მაგიერად ნეიმანს გულში მოხვდა. შუა დღისას ვაჭარი ქალი ჰხედავდა, რომ გამვლელ—გამომვლელი, ბავშვები სასწავლებლიდან, გაჩერდებოდენ ხოლმე განცხადების წინ და ყვიროდენ:

— ოხ, სწორეთ გამოცხადებული ნეიმანია, ღმერთმანი!.. ნეიმანი!..

ნეიმანს მართლა ძალიან აწყენინეს. საღამოთი როცა რედაქტორი შემოვიდა, ქალმა უთხრა:

ეგ მაიმუნი სწორედ მე ვარ!., ვიცი რომ მე ვარ, მაგრამ მე ჩემსას გავიტან. იმან უნდა ჩამოხსნას ეგ მაიმუნი და ჩემ წინ გალოკოს.

როგორ გინდა ჰქნა?

— ახლავ მოსამართლესთან მივდივარ!..

— როგორ თუ ახლავ?

-- ხვალა.

დილით როგორც ნეიმანი გამოვიდა გარეთ, შეხვდა ჯანსს და უთხრა:

— გამიგონე!.. ხომ ვიცი იმ მაიმუნად მე ვარ დახატული; წავიდეთ მოსამართლესთან, ვნახოთ რას გვეტყვის.

— იტყვის, რომ მე სრულიად მართალი ვარ, რასაც მინდა ჩემ კარებზე იმას დავხატავ.

— დავინახავთ მაგას.

ნეიმანი ძლივს იბრუნებდა სულს სიბრაზისაგან.

— რა იცით, რომ ეგ მაიმუნი თქვენა ბრძანდებით?

— ყველანი მაგას მეუბნებიან. წამოდით მოსამართლესთან, წამოდით, თორემ ძალით წაგიყვანთ შერიფი.

*) იხ. „კვალის“ № 14.

— კარგი, წავიდეთ მოსამართლესთან, სთქვა ჯანსმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ უთუოდ თავს გაიმართლებდა.

დაჭკეტეს ორივემ დუქნები და გასწიეს გზა-გზა თავიანთ საქმეზე ფიქრით. მაგრამ ორივეს მოსამართლეს კარებზე გაახსენდათ, რომ ინგლისური არც ერთმა არ იცის, და მათთვის შეუძლებელია საჩივრის მოხსენება. რა ექნათ?.. წავიდნენ შერიფთან, როგორც პოლშელ ურიასთან, რომელმაც ნემეცურიც იცოდა და ინგლისურიც.

შერიფი ურემზე იჯდა და სამგზავროდ მიეშურებოდა.

— დაიკარგეთ აქედან!.. დაუყვირა იმან. მთელ ქალაქს თქვენგან მოსვენება არა აქვს! მთელი წელიწადია ერთსა და იმავე ფეხსაცმელებს ატარებთ!.. მე მასალისათვის მივდივარ!.. და წავიდა.

ჯანსი სახტად დარჩა.

— ხვალამდი ცდა მოგვინდება, სთქვა მან ცივად.

— მე მოვიცდი თუნდ სიკვდილამდე... თუ მაიმუნს ჩამოხსნი, კიდევ ჯო!..

— არა, მე იმას ხელსაც არ გახლებ.

— თქვენ უთუოდ ჩამოგახრჩობენ, უთუოდ!.. როგორც იქნება უშერიფობასაც გავუძლებ!.. მოსამართლემ ისეც იცის ჩვენი საქმე!..

— მაშ კარგი, წავიდეთ უშერიფოთ, უპასუხა ჯანსმა.

ნეიმანი კიდეც ამაში შესცდა. თურმე იმათ შორის უსიამოვნობაზე მთელ ქალაქში ერთად ერთს მოსამართლეს არა სცოდნოდა... ის მარტო ინგლისურ ენაზე ლაპარაკობდა და იმათი ენა არ ეყურებოდა.

საქმის არ მცოდნე ბერიკაცმა „ლეროა“-ს მზადება დაიწყო და ისინიც ისე გულკეთილად და სტუმარ-მოყვარულად მიიღო, როგორც სხვებს ყველას იღებდა.

— გამოყავით ენები, მაჩვენეთ, ჩემო შვილებო!... უთხრა იმან, ახლავე გამოგიწერთ...

ორივემ ხელით აჩვენეს, რომ წამალი არ უნდათ. ნეიმანმა კი დაილაპარაკა:

— ეგ არ გვინდა, არა!...

— მაშ რა?

ლაპარაკობდნენ ორივენი ერთმანეთის სიტყვის ჩამორთმევით. ჯანსი იტყოდა ერთს, ნეიმანი ათს იმდენს... ბოლოს მას აზრად მოუვიდა და დაიდვა გულზედ ხელი ნიშნად მწუხარებისა, რომელიც გულზედ დაღივით დააჩნია ჯანსმა.

— მესმის, მესმის, უთხრა ექიმმა.

შემდეგ გადაშალა წიგნი და დაიწყო წერა. ჯანსს ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხარ?

— ოცდა თექვსმეტისა.

შემდეგ ქალს ჰკითხა. მას კარგად არ ახსოვდა:

— ასე, ოცდა ხუთისა ვარო.

— კარგი. აბა, სახელები?

— ჯანსი და ლორა.

— კარგი!...

— ხელობა

— მოვაჭრეები.

— კარგი.

კიდევ რაღაცა ჰკითხა. ვერც ერთმა ვერ გაიგო ა უპასუხეს „დიაღ“ „ჯო“. ექიმმა დაიქნია თავი და სთქვა, ახლა ყველა კარგად არის მოწყობილი!

როცა გაათავა წერა, ადგა და ლორას მოულოდნელად აკოცა მამიშვილურად.

ეს ქალს კარგს ნიშნად მოეჩვენა და იმედებით სავსე დაბრუნდა სახლში.

გზაში უთხრა ჯანსს:

— მე თქვენ გაჩვენებთ სეირს!...

— სხვას უჩვენეთ ეგ სეირი, თუ შეგიძლიანთ! მიუგო მან გულ-გრილად.

მეორე დღეს იმათ დუქნებთან შერიფი მოვიდა, ორივე მედუქნე კარებში იდგენ. ჯანსი ჩიბუხს სწევდა, მეორე კი მღეროდა წინანდელ სიმღერას.

„გინდათ წასვლა მოსამართლესთან? ჰკითხა შერიფმა.

— ჩვენ კიდეც ვიყავით.

— მერე, როგორ გაათავეთ საქმე?

— მეგობარო, უთხრა მას ქალმა, წადით, გამიგეთ რამე. მე ახლა მალე ფეხსაცმელი მომინდება. ჩემთვის ერთი სიტყვა დასხარჯეთ მოსამართლესთან. თქვენი ბედნიერი თვალი ჰხედავს, რომ მე საწყალი დედაკაცი ვარ... მარტოხელი...

შერიფი წავიდა და ისევ მალე დაბრუნდა, ხალხშემოხვეული.

— აბა, როგორ არის საქმე? ჰკითხეს ორივემ.

— ყველაფერი გაწყობილია!... სთქვა შერიფმა.

— რას აპირობს მოსამართლე?

— ცუდს რას იზამს, ან რას იქმოდა? იმას თქვენთვის ჯვარი დაუწერია.

— როგორ!?

უცებ რომ მეხი ჩამოვარდნილიყო, ისე არ შეაშინებდა ჯანსსა და ლორას, როგორც ამ ამბავმა შეაშინა. ჯანსმა თვალები გადმოიბრუნა, პირი გააღო, გამოყო ენა და როგორც სულელი ისე იცქირებოდა. ამავე მდგომარეობაში იყო ქალიც და შესჩერებოდა ჯანსსა. ორივენი გაშეშდენ, მერე ორივემ ლაპარაკი დაიწყეს:

— მე უნდა ვიყო ამისი ცოლი?

— მე მაგისი ქმარი?

— მიშველეთ, მიშველეთ, თავის დღეში არ შეიძლება!... ამ საათში გაგვიყარნოთ, მე არა მსურს.

— არა მე ეგ აღარა მსურს!...

— სიკვდილი მირჩევნია. გაყრა, გაყრა, ეს რა მომხდარა, თქვენი ჭირიმეთ.

— ჩემო საყვარლებო, აქ ყვირილი ვეღარაფერს გიშველით!... მოსამართლე ქორწინების პირობის წერილსა სწერს, მაგრამ იმისი მოშლის ნება კი არა აქვს!... რა გაყვირებთ!... თქვენ განა სან-ფრანცისკოელი მილიონების პატრონები ხართ, რომ გაყრაზე იზრუნოთ? განა არ იცით ეგ დავიდარაბა რამდენი ღირს? ან, თქვე ასეთ ისეთებო!... რა გაყვირებთ!... მე ბავშვებისთვის კარგი ფეხსაცმელები მაქვს, ძლიერ იაფად მოგყიდით! მართალს გეუბნებით!...

სთქვა ეს და გაბრუნდა. ხალხმაც დაიწყო სიცილი და წავიდ-წამოვიდა. ახალი ცოლ-ქმარნი ერთად დარჩნენ.

— დახეთ, რა ამბავია, ქმარი შეურთავთ ჩემთვის!... ეს ჩვენ ძალათ გვიყო, რაკი უცხო-ქვეყნელები ვართ. სთქვა ქალმა.

— გაგონილა!.. მიუგო ჯანსმა.

— უნდა გავიყარნეთ.

— მე პირველი...

— არა, მე უნდა, პირველმა უნდა... თქვენ რომ ხაფანგით დამიჭირეთ.

— ასეთი ცოლი მე სულაც არ მინდა!...

— მე თქვენ მეჯავრებით!

გაშორდნენ ერთმანეთს, შევიდნენ და დაკეტეს დუქნები. ერთიც მთელი დღე სახლში იჯდა და ფიქრობდა და მეორეც. დადგა ღამე. ღამეს სიმშვიდე მოაქვს, მაგრამ არც ერთს არ დაეძინა. დაწვნენ, მაგრამ თვალი ვერ მოხუჭეს. ქალი ჰფიქრობდა: „აქა და აქა წევს ჩემი ქმარი!“ კაციც ჰფიქრობდა: „აქა და აქ წევს ჩემი ცოლი!“ რა საკვირველი გრძნობა აღიძრა მათ გულში! ამას გარდა ჯანსი იმ მაიმუნზედაც ჰფიქრობდა, რომელიც იმის მაღაზიის კედელზე ეკიდა. როგორ უნდა დასტოვოს იგი იქ!.. ეს ხომ ცოლის დაცინვა გამოდის!.. ჰგონია ძლიერ ცუდად მოიქცა, რომ მაიმუნი დაახატვინა!.. მაგრამ მაგ ქალმა განა ცოტა შემძლვნა?.. მაგის წყალობით არ იყო, იმოდენა ყინული რომ გამიოხრდა!.. თვითონ მე კი ხაფანგით დავიჭირე. აქ თვალ-წინ წარმოუდგა სილამაზე, რომელიც და ახსოვდა მთვარეზედ ნახვის შემდეგ.

— მაინც კარგი ქალია—ჰფიქრობდა ის, მაგრამ მე ის არ მიყვარს და იმას მე არ უყვარვარ!.. გაგონილა ამისთანა ყოფა! ღმერთო ჩემო!.. ცოლი შემირთავს!.. მერე ვინა!.. ნეიმანის ქალი!.. გაყრა კი ისეთი ძვირად დამიჯდება, რომ მთელი დუქანიც ვერ აუვა.

— მე ახლა ჯანსის ცოლი ვარ, ამბობდა თავის გულში ქალიც. მე ეხლა გასათხოვარი აღარა ვარ!.. ახლა მეუღლე ვარ, მერე ვისი, ჯანსისა, რომელმაც ხაფანგში მომიმწყვდია. ისიც ხომ მართალია, რომ სელით მომიყვანა სახლში... ეს რა ამბავია, რაღაცა ხმაურობა მესმის?“

არაფერი ხმა არსაიდან არ ისმოდა, მაგრამ ამას წინად სრულიად უშიშარს ქალს ამ ბოლოს დროს შიში შეეპარა გულში.

—„ახლა რომ იმან გაბედოს და მოვიდეს... რა დღეს დავაყენებ!.. არა, როგორ გაბედავს!.. ის... ვერ!..

შიში-კი უძლიერდებოდა. ასე მოსდის ქალს, როცა მარტოკა არის. აქ რომ ახლა ერთი კაცი იყოს, ჰფიქრობდა ის, უშიშრადაც ვიქნები და დამშვიდებულიც. ამ ქალაქში რაღაც მკვლელობის ამბავი გავიგონე (არაფერიც არ გამეგონა), გეფიცებით აქ მომკლავს ვინმე. ოხ, ამ ჯანსმა, როგორ შემბოჭა. მაინც და მაინც უნდა ვექილს მოველაპარაკო, თუ როგორ გავეყარო ჩემ ძალათ ქმარს. ასე ჰფიქრობდა ქალი, კოტრიალობდა მთელი ღამე განიერ ამერიკულ კრაოტზე და ძილი არ მოსდიოდა. უცებ წამოხტა; ახლა კი იმის შიშს საფუძველი ჰქონდა. ღამის წყვდიადში ჩაქუჩის ცემის ხმა ისმოდა.

— ღმერთო ჩემო!.. წამოიძახა ნეიმანმა. ვიღაც მოიპარება ჩემ დუქანში!.. უნდა გამცარცვოს!..

შიშით წამოხტა და მიირბინა ფანჯარასთან, მაგრამ მალე დაშოშმინდა. მთვარეზე გამოჩნდა კიბე და მაზე ამავალი ჯანსი. ის აძრობდა იმ განცხადების ლურსმებს, რომელზედაც მაიმუნი იყო დახატული.

ნეიმანმა უცბად ფანჯარა გააღო. ჰო, მაიმუნსა ხსნის, ეგ მაგის პატიოსნებასა ნიშნავს—ჰფიქრობდა ის. ნეიმანმა შეატყო, რომ იმისმა გულმა რაღაცა იგრძნო.

ჯანსმა განცხადება ჩამოიღო...

ქალი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ჯანსის მოქმედებას...

— ჯანს, შენა ხარ? ჰკითხა ქალმა.

— თქვენა ხართ, ქალო? არა გძინავთ აქნობამდის?

— არა მძინავს, სალამო მშვიდობისა, ჯანს!

— გმადლობ, ქალბატონო!..

— რას აკეთებთ?

— განცხადებას ვხსნი.

— გმადლობთ.

დასდგა სიჩუმის წამი.

— ჯანს!.. გაისმის კიდევ წყნარი ხმა.

— რა გნებავთ?

— უნდა მოვილაპარაკოთ გაყრაზე.

— უნდა, უნდა.

— ხვალა?

— ხვალა.

კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა. შვენიერი, ბადრი მთვარე ლურჯ ცის კამარაში დასცურავდა. ყველგან სიჩუმე იყო, ისე რომ მხოლოდ ჭრიჭინების ხმა-ღა ისმოდა.

— ჯანსო!

— რა გნებავთ?

...ადა როგორმე მალე გავათავო გაყრის საქმე!.. -გოროდაც მოწყენილის კილოთი ამბობდა ქალი.

— მეცა მსურს.

ჭანსის ხმაც სწორედ ისეთივე იყო

— გაიგეთ, დაგვიანება არ იქნება... რაც უფრო ადრე მოვილაპარაკებთ, ისა სჯობს.

— მაშა, ისე სჯობიან.

— თუნდა ახლავე მოვილაპარაკოთ.

— თუ თქვენ ნებას მომცემთ...

— თქვენ მოხვალთ ჩემთან?

— ჩავიცვამ, თუ არა.

— რაო ვითომ!..

დაბლა კარები გაიღო და ერთ წამ შემდეგ „ქმარმა“ „ცოლის“ ოთახში ამოჰყო თავი. „ცოლი“ საუცხოვოდ მშვენოდა ამ დროს.

— აბა, ქალო, რას იტყვით? დაიწყო ჭანსმა სიტყვების წყვეტით.

— იცით, რა? მე მინდოდა თქვენთან გაყრის საქმეზე მოლაპარაკება... მაგრამ... იცი... რა... ქუჩიდან მეშინიან, არავინ დაგვინახოს...

— ახლა ფანჯრებში ბნელა...

— ჰო, ჰო, ეგეც კია!.. უთხრა ქალმა... დაიწყეს მათ საუბარი განქორწინების საქმეზე, მაგრამ მე მათ ლაპარაკს აღარ გადმოგცემთ... ვგონებ-კი, რადგან განქორწინება მეტად ძვირად ღირდა, ნეტარმა ცოლ-ქმარმა ამ აზრს თავი დაანებეს... დაბრუნდა ისევ სიმშვიდე და წყნარი ცხოვრება ქალაქ „სტრუგ-ოილ-სიტში“.

ვას. ბიბილაშვილი

## „კვალის“ ფოსტა

ქ. ო—ეთს ი. კ—ძეს. სიამოვნებით ვავბეჭდავთ თქვენს წერილს; ბოდიშს ვიხდით დაგვიანებისათვის.

გურგასლანს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

ა. ჯ—ს. „დაფარულს სენს“ არა ვბეჭდავთ. ეგ სენი ჩვენთვის უცხოა და არც ისე გამწვავებულია, რომ ცალკე წერილის ღირსი იყოს.

გ. ა—ძეს. „მკვდრის სიყვარული“ არ იბეჭდება.

პეტრე პავლიძეს. ერთს თქვენს ლექსს „ჩანჩალა გიგას“ ვბეჭდავთ და კვლავაც ამისთანა აზრიანს ლექსს ნუ მოგვაკლებთ. სხვა ლექსები და „ვაჟკაცი რაჭველი“ არ დაიბეჭდება ზოგი იმისთანა მიზეზით, რაც ჩვენზედ არ არის დამოკიდებული.

ა. ე—ს. ცოდნა ენისა და ლექსის წყობილებისა გეტყობათ, მაგრამ ლექსს მაინც ვერა ვბეჭდავთ. მომავალში თქვენგან უკეთესს ველით.

თ. გ—გს. „უკანასკნელი სროლა კალენდარში იყო დაბეჭდილი.

თ. ს—კიას და დ. გ—ანს. თქვენი წერილები ერთსა და იმავე საგანს შეეხება და ვერა ვბეჭდავთ. ამიტომ რომ თვით ბ. ჟ—ვე ველით პასუხს, რომელსაც დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ.

ქ—გ. პირუმთნეველს. თქვენს გარდა სხვებიც ბევრი გვიგზავნიან წერილებს „ივერიასა“ და მის თანამშრომლების შესახებ, მაგრამ არა ვბეჭდავთ.—გთხოვთ ისევ „ივერიის“ რედაქციაშივე აგზავნოთ ხოლმე.

ქ. ქ.—ი კ—ძეს. გულს ნუ გაიტეხთ! სწერეთ და თუ მწერალი ვერ გახდებით, კითხვას ხომ ისწავლით?. ეს ხომ შეგრჩებათ და ისიც კარგი ღვთის წყალობაა ახლანდელ დროში...

P. S. ამასვე ვურჩევთ ყველა ახალგაზდებს...

ახალსენაკს, პედაგოგს. ნუ გეშინიათ! საიზნაურო სკოლას არა უჭირს-რა: ყველა გრძნობს საიდგანაც უბერავს ქარი!..

ს. კასპი ი. გ—ს. თქვენ იწერებით ერთს კნეინაზე: ბევრსა სწერს და თარგმნის ქართულად, მაგრამ ვერ ბედავს დასაბეჭდათ გამოგზავნასო: „ვაი, თუ დამცინონო!“ შეცმდარი აზრია: შრომა პატიოსანი, უნაყოფოც რომ იყოს მაინც არ არის გასაკიცხი. ველით მაგათ ნაწერებს.

ტფილ. მეგენტეს. გვეკითხებით: რა ამბავია და რა მიზეზია. რომ ერთს კრებაზე დედა ენაზე ხმას არავინ იღებ? სულ უცხო ენაზე გიჭირვებთ, დამტვრეულის ენით ბაასობენო?“ ჩვენის აზრით და მიხვდომით ამას განძრახ ჩადიან მტერ-მოყვრობით: თავისას არა ჰხარჯვენ და სხვისი უნდათ დაამტვრიონო!

ს. ახალქალაქს, ვ. ჭ—ს. იწერებით: „წყალში თევზი არ დაფასდებაო!“ ვინ მოგახსენათ!.. ეს ანდაზა დიდი ხანია, გამტყუნდა!... ერთგან კიდეც დააფასეს და ფულიც დიდ-ძალი გაილეს. აი როგორ მომხდარა ეს ამბავი: ერთი ვინმე ადგილს აგირავებდა და უზომო ფასი ითხოვა. მიზეზი რომ ჰკითხეს, ასე უპასუხა თურმე: მართალია თავის-თავად ის ადგილი სულ არაფერი ღირს მაგრამ მილებით წყალი მინდა გავიყვანო და შიგ თევზები გავაჩინოო. დაუჯერეს.. მოუწონეს და მისცეს რასაც თხოულობდა.—მოხერხებულმა მოვალემ წყალი ველარ გაიყვან-გააძვრინა მილებში და ფულის მიმცემლები კი.—ზოგი კაცი მღვრიე წყალშიაც ვერ იჭერს თევზებს და ზოგს კი ტალახიან მინდვრებიდანაც ორაგულები გამოჰყავს...

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა


გამოვიდა და ისყიდება

ყველა ქართულ წიგნების მაღაზიაში

უილიამ შექსპირის

ტრაგედია

რიჩარდ მესამე

ინგლისურიდან ნათარგმნი

ივ. მაჩაბლისაგან

ფასი ორი აბაზი.

გამოვიდა და ისყიდება ნახატებიანი

„ვეფხის ტყაოსანი“

„ჯეჯილის“ რედაქციის გამოცემა

შემუშავებული გ. იოსელიანის მიერ

მოზრდილ ყრმათათვის

ფასი ხუთი შაური. დაბარება შეიძლება „ჯეჯილის“ რედაქციიდან.


Дозв. ценз. Тифлисъ, 17 Апрѣля 1893 г. სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა (Типог. Гр. Изд. Т—ва)